პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
24 ივლისი
1939 წ.
№ 168 (5568)
ფასი 10 კაპ.

მძლავრი საბჭოთა ხალხის სამხედრო-საზღვაო ფლოტი

1917 წლის 25 ოქტომბრის ღამეს რევოლუციური პეტროგრადი შეაზანზარა ქვემეხების მძლავრმა ქუხილმა. კრეისერ „ავრორას" მეზღვაურებმა, რომლებიც ზამთრის სასახლეს ესროდნენ, თავიანთი ზარბაზნების გუგუნით მთელ მსოფლიოს ამცნეს, რომ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

რეაქციის ბუდე—ზამთრის სასახლე დაინგრა. მასთან ერთად დაინგრა მთელი ბურჟუაზიულ - მემამულური რუსეთის ხავსმოდებული სახელმწიფო. ბოლშევიკებმა, რევოლუციის დიდი სარდლების — **ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელობით, სამუდამოდ მოსპეს მონობა და ჩაგვრა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

რევოლუციურმა სამხედრო ფლოტმა უდიდესი მსოფლიო-ისტორიული როლი შეასრულა თვითმპყრობელობის დამხობისა და ახალგაზრდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარეშე მტრებისაგან დაცვის დიად ისტორიულ საქმეში.

ჯერ კიდევ 1825 წელს, დეკაბრისტების პირველი რევოლუციური აჯანყების დროს პეტერბურგის სენატის მოედანზე აჯანყებულ სამხედრო ნაწილთა შორის იყო ფლოტის გვარდიის ეკიპაჟი. ამ დროიდან რუსეთის ფლოტის სახელოვან მეზღვაურებს მუდამ მაღლა უჭირავთ განმათავისუფლებელი, რევოლუციური მოძრაობის დიადი დროშა. რევოლუციონერმა მეზღვაურებმა არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს მუშათა მოძრაობის ისტორიაში. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ჯავშნოსან „პოტიომკინის" მეზღვაურთა გმირული აჯანყება 1905 წლის ზაფხულში და სამხედრო გემების მთელი ჯგუფის ეკიპაჟთა აჯანყება სევასტოპოლში, ლეიტენანტ შმიდტის მეთაურობით, 1905 წლის დეკემბრის ძლევამოსილი აჯანყების წინ.

ჩვენს ხალხს უყვარს ზღვაოსნობა და ეხერხება კიდეც იგი. რუს მეზღვაურებს არაერთხელ გამოუჩენიათ არაჩვეულებრივი გმირობა და სიმამაცე სამშობლოზე თავდამსხმელებთან ბრძოლაში და გაუნადგურებიათ რიცხობრივად და ტექნიკური შეიარაღებით მათზე გაცილებით ძლიერი მტერი. სამუდამოდ დარჩება სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, როგორც განსაკუთრებული გმირობისა და სიმამაცის იშვიათი მაგალითები, ისეთი საზღვაო ბრძოლები, როგორიცაა შეტაკება შვედებთან პეტრე პირველის ხელმძღვანელობით (1714 წ.), როდესაც განადგურებულ იქნა შვეციის მრისხანე ფლოტი და გმირმა რუსმა მეზღვაურებმა ხელთ იგდეს 10 სამხედრო გემი. ასეთივე დაუვიწყარი მაგალითებია ჩესმის ბრძოლა თურქებთან (1770 წ.), სადაც რუსეთის 30-მა გემმა გაანადგურა თურქეთის 80-ზე მეტი გემი, და სევასტოპოლის გმირული დაცვა (1854-55 წ.), როდესაც რუსეთის სახელოვანი მეზღვაურები 11 თვის განმავლობაში ებრძოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, სარდინიისა და თურქეთის შეერთებულ სამხედრო-საზღვაო ძალებს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც დაიწყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ „14 სახელმწიფოს ლაშქრობა", პარტიამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნას. სოციალიზმის ქვეყნის წითელი ფლოტი იჭედებოდა სამოქალაქო ომის ქარიშხლიან დღეებში, ხოლო მისი კადრები იწრთობოდნენ სახელოვან ბრძოლებში რევოლუციის დასაცავად იმპერიალისტური ყაჩაღებისაგან. მუშათა კლასის ბრძენი — ბელადების—**ლენინისა და სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით მათი ყოველდღიური მზრუნველობით უმოკლეს ხანში იქნა აღდგენილი სამხედრო ფლოტი და სოციალიზმის სამსახურში ჩადგნენ ათობით მძლავრი სამხედრო ერთეულები—სახაზო გემები, კრეისერები, წყალქვეშა ნავები.

ლენინ-სტალინის პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი, ნახევრად კოლონიური ქვეყნიდან, —როგორიც იყო ძველი რუსეთი, გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიისა და მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის ქვეყნად. ორი სტალინური ხუთწლედის წარმატებით განხორციელებამ საშუალება მოგვცა შეგვეიარაღებინა ჩვენი წითელი არმია პირველხარისხოვანი ტექნიკით, შეგვექმნა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ავიაცია და მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა სამხედრო ფლოტის შეიარაღება. მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო ვითარების პირობებში, როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფოები გამალებით ემზადებიან ომისათვის და აშენებენ უდიდეს სამხედრო - საზღვაო ფლოტებს, ჩვენი ქვეყნის წინაშე სავსებით ბუნებრივად დაისვა საკითხი — შევქმნათ სოციალიზმის უძლეველი ქვეყნის შესაფერი სამხედრო-საზღვაო და საოკეანო ფლოტი, რომელიც შესძლებს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ყოველგვარ მტრებს და მტრების ყოველგვარ კოალიციას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი **მოლოტოვი** ამბობდა: „მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს მისი ინტერესების შესაფერი, ჩვენი დიადი საქმის შესაფერი საზღვაო და საოკეანო ფლოტი".

ამ სიტყვებში გამოისახა მთელი ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის სურვილი. ჩვენი ქვეყანა უდიდესი ენერგიით შეუდგა ახალი, მძლავრი სამხედრო ფლოტის შექმნას და უკვე 1938 წელს ჩვენს ფლოტს შეემატა რამდენიმე ათეული მძლავრი სამხედრო ერთეული.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ უდიდესი სამხედრო-საზღვაო და საოკეანო ფლოტის მშენებლობა, რომელიც ამჟამად უაღრესად სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში, წარმატებით იქნება შესრულებული. ამის თავდებია საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ენტუზიაზმი და სიყვარული თავისი ფლოტისადმი, ამის თავდებია ის, რომ ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობს და მასზე ყოველდღიურად ზრუნავს თვით დიდი **სტალინი.**

რთული და მრისხანე სამხედრო ტექნიკა, რომელსაც წითელი საზღვაო ფლოტისათვის ჰქმნიან საბჭოთა ინჟინრები საბჭოთა მასალისაგან, საიმედო ხელში გადავა. იგი გადაეცემა სახელოვან წითელფლოტელებს, რომლებმაც იციან როგორ მოიხმარონ ტექნიკა. ჩვენი მეზღვაურები, ჩვენი მუშებისა და გლეხების შვილები შესანიშნავი ადამიანები არიან, ეს ისინი არიან, რომლებზეც თვით დიდი **სტალინი** ამბობდა, რომ: „სასიამოვნოა გქონდეს საქმე ასეთ ამხანაგებთან. სასიამოვნოა ებრძოდე მტრებს ასეთ მებრძოლთა რიგებში. ასეთი ამხანაგებით შეიძლება დაამარცხო ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა მთელი სამყარო".

დიახ, მრისხანე ტექნიკით შეიარაღებული ჩვენი მამაცი წითელფლოტელები, რომლებმაც დასდვეს წმინდა ფიცი სამშობლოს ერთგულებაზე, წითელი არმიის გმირ მებრძოლებთან ერთად შესძლებენ დაამარცხონ დამჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა შავი ძალები და გაუკაფონ გზა კაცობრიობას კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ.

თუ რაოდენ დიდია ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვა მძლავრი სამხედრო-საზღვაო და საოკეანო ფლოტის შექმნისათვის, ამის საუცხოო დადასტურებას წარმოადგენს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის" დაწესების შესახებ. დღევანდელ დღეს საბჭოთა ხალხი ჩაატარებს თავისი სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო დათვალიერებას და მოახდენს მთელი თავისი ყურადღების მობილიზაციას მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის საკითხებისა და ამ ფლოტის წინაშე დასმული ამოცანების გარშემო.

სოციალიზმის ქვეყნის უძლეველი სამხედრო-საზღვაო და საოკეანო ფლოტის შექმნაზე ზრუნავს მთელი ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი, მასზე ზრუნავს ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი,** და ეჭვი არაა, რომ სულ მოკლე დროში ჩვენს სამშობლოს ექნება მთელს მსოფლიოში ყველაზე მძლავრი წითელი სამხედრო-საზღვაო და საოკეანო ფლოტი!

რსფსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გახსნის შესახებ

სესია გაიხსნება 25 ივლისს, საღამოს 6 საათზე, კრემლში, რსფსრ უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

23 ივლისს ამხ. მოლოტოვმა მოლაპარაკების განსაგრძობად მიიღო ინგლისის ელჩი ბ. სიიდსი, საფრანგეთის ელჩი ბ. ნაჯიარი და ბ. სტრენგი.

ბაქოში დაიწყო მესამე ხუთწლედის სესხის ტირაჟი

ბაქო, 23 ივლისი (საქინფ). დღეს დილის 10 საათზე ბაქოში აზერბაიჯანის მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო მესამე ხუთწლედის სესხის (პირველი წლის გამოშვება) მოგებათა მეორე ტირაჟი.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ი. ი. მალიშევი** დანიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ გეოლოგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ. (საქინფ).

ბრძანებულება

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყარაჩაის ავტონომიური ოლქის მიქოიანის რაიონის სოფელ გეორგიევო - ოსეტინსკოესათვის კოსტა ხეთაგუროვის სახელის დარქმევის შესახებ

ოსეთის სახალხო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ოსური მხატვრული ლიტერატურისა და ოსური ლიტერატურული ენის ფუძემდებლის კონსტანტინე ლევანის-ძე ხეთაგუროვის შემოქმედების განსაკუთრებული კულტურულ - პოლიტიკური მნიშვნელობის აღსანიშნავად, ყარაჩაის ავტონომიური ოლქის მიქოიანის რაიონის სოფელ გეორგიევო-ოსეტინსკოეს, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა კ. ხეთაგუროვი, დაერქვას კოსტა ხეთაგუროვის სახელი.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. ბადაევი
რსფსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კოზლოვი

მოსკოვი, 1939 წლის 22 ივლისი.

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თბილისის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის საერთო-საქალაქო საზეიმო კრება, რომელიც სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით ჩატარდა და რომელიც სსრ კავშირის სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღისადმი იყო მიძღვნილი, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გითვლით თქვენ, ხალხთა დიდ ბელადს, კომუნიზმის ფლაგმანს, მთელი მშრომელი კაცობრიობის იმედსა და ბედნიერებას.

უდიდესი აღტყინებით და აღფრთოვანებით დღესასწაულობს სოციალიზმის ქვეყანა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. საბჭოთა ხალხი ამაყობს თავისი ფლოტით, ხარობს მისი დიდებით და აყვავებით. საბჭოთა ხალხი აღსავსეა უდიდესი სიამაყით, ბედნიერებით, სიხარულით, რადგან იცის, თუ რა დიდ მზრუნველობასა და დახმარებას უწევთ თქვენ იოსებ ბესარიონის-ძევ, ჩვენს სახელოვან სამხედრო - საზღვაო ფლოტს და მის პირადს შემადგენლობას.

საუკუნეთა მანძილზე გამოატარა თავისი დიდება, თავისი საბრძოლო ტრადიციები რუსეთის ფლოტმა.

ეს საუცხოო ტრადიციები გამოაცოცხლა, განამტკიცა, გაამდიდრა ახალმა სახელოვანმა, საგმირო საქმეებმა, — საბჭოთა სამხედრო მეზღვაურების მამაცურმა, უშიშროებითა და ვაჟკაცობით აღსავსე საგმირო საქმეებმა.

თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის აკვანთან იდექით, თქვენ მიუძღვოდით, აღაფრთოვანებდით ბალტიკის სამხედრო მეზღვაურებს, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ერთგულთ, რევოლუციის პირველ წლებში საძირკველს უყრიდით მძლავრ და მრისხანე საბჭოთა სამხედრო - საზღვაო ფლოტს.

ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მძლავრ ზრდაში, მის ადამიანთა გმირულ მოქმედებაში მკაფიოდ არის ასახული სოციალიზმის ქვეყნის სიდიადე და სიძლიერე, მისი მზადყოფნა გამანადგურებელი დარტყმით უპასუხოს მტერს, საიდანაც უნდა გაჩნდეს იგი.

„ჩვენი საბჭოთა წყობილება ძლიერია და მას სურს კიდევ უფრო ძლიერი იყოს, სურს მიუვალი იყოს მტრებისათვის. აქედან დასკვნა გამოგვაქვს, რომ ჩვენ გვესაჭიროება ძლიერი წითელი არმია და ჩვენ გვესაჭიროება ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს მისი ინტერესების შესაფერისი, ჩვენი დიადი საქმის შესაფერისი საზღვაო და საოკეანო ფლოტი".

ეს სიტყვები, რომლებიც წარმოსთქვა ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა — საყვარელმა მეთაურმა საბჭოთა მთავრობისამ — უდიდესი ენტუზიაზმით მიიღო მთელმა ჩვენმა ქვეყანამ. მთელი ჩვენი ქვეყანა აგებს თავის მძლავრ საზღვაო და საოკეანო ფლოტს. წლითი-წლობით მტკიცდება ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალა, განუწყვეტლივ ივსება იგი ახალ-ახალი ერთეულებით.

ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის საუცხოო პირადი შემადგენლობა, ლენინ-სტალინის პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული, ყოველ წუთს მზად არის სავსებით ალჭურვილმა უკუაგდოს თავხედი მტერი.

სამხედრო - საზღვაო ფლოტი ჩვენი სამშობლოს მძლავრ სიმაგრედ გადაიქცა, ფლოტის განმტკიცებისა და ზრდისათვის თქვენი, იოსებ ბესარიონის-ძევ, დაუღალავი ზრუნვის მეოხებით.

სიტყვას გაძლევთ, რომ მთელს ძალღონეს გამოვიყენებთ, რათა შემდეგშიც განვამტკიცოთ წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ძლიერება.

ჩვენ მზადა ვართ პარტიისა და მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე გამოვიდეთ ყოველი გათავხედებული მტრის წინააღმდეგ, მზადა ვართ დავარტყათ და გავანადგუროთ იგი მისსავე საკუთარ ტერიტორიაზე.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს გმირ და უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, ჩვენს მასწავლებელსა და მეგობარს — საყვარელ მშობლიურ სტალინს!

საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

23 ივლისის დილის სხდომა

23 ივლისს, დილით, გრიბოედოვის სახელობის თეატრში შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მეექვსე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ი. დ. კოჭლამაზაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იხილავს დღის წესრიგის მესამე მუხლს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი **გ. თ. სტურუა.**

კამათში ამხ. სტურუას მოხსენების გამო გამოვიდნენ დეპუტატები: **შ. ქ. შარაშიძე** (შუახევის საარჩევნო ოლქი, აჭარის ასსრ) და **კ. მ. თარგამაძე** (ახალ-სოფლის საარჩევნო ოლქი, ყვარლის რაიონი).

კამათის დამთავრების შემდეგ დეპუტატს **გ. ვ. კირვალიძეს** შეაქვს წინადადება დამტკიცებულ იქნას კანონის პროექტი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

სესია ერთხმად ამტკიცებს „კანონს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ".

შემდეგ უმაღლესი საბჭო იხილავს დღის წესრიგის მეოთხე საკითხს —საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77, 86, 87, 88 მუხლების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების დამტკიცება.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა დეპუტატი **ვ. ი. ეგნატაშვილი.**

ამ მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **მ. კ. დელბა** (ტამიშის საარჩევნო ოლქი, აფხაზეთის ასსრ), **ს. ი. ბუაძე** (სუფსის საარჩევნო ოლქი, ლანჩხუთის რაიონი), **ი. ნ. შამუგია** (ცხაკაიას საარჩევნო ოლქი, ცხაკაიას რაიონი), **დ. ა. დავითაძე** (ხულოს საარჩევნო ოლქი, აჭარის ასსრ).

კამათის დამთავრების შემდეგ სესია ერთხმად იღებს დადგენილებას საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77,86, 87 და 88 მუხლების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.

ამის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს დებულებას საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ.

სესია იხილავს დღის წესრიგის მეხუთე საკითხს—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია პირველი და მეორე სესიებს შორის და რომლებიც უნდა დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, დეპუტატი **ვ. ი. ეგნატაშვილი.**

სესია ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს.

ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშვნასთან დაკავშირებით, უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას ამხანაგ ლ. პ. ბერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

ამხ. **მ. მ. გვიშიანის** საქართველოს სსრ გარეთ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით, უმაღლესი საბჭო ადგენს განთავისუფლებულ იქნას ამხ. მ. მ. გვიშიანი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრობისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სესიამ ერთხმად აირჩია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად დეპუტატები **მ. ი. ჯაში** და **ი. ა. დევსურაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი **გ. ი. ნარსია.**

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ი. დ. კოჭლამაზაშვილი** დეპუტატებს აუწყებს, რომ დღის წესრიგი ამოწურულია, და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიას დახურულად აცხადებს. (საქინფ).

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

გუშინ, საღამოს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის თბილისის საერთო-საქალაქო საზეიმო კრება სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მიძღვნილი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი.

თეატრის დარბაზი საზეიმოდ არის მორთული ელვარე პლაკატებითა და ლოზუნგებით. ალისფერ ტილოებზე სწერია სიტყვები, რომლებიც გამოჰხატავენ მგზნებარე სიყვარულსა და ერთგულებას მთელი მსოფლიოს მშრომელთა მამისა და მეგობრისადმი დიდი **სტალინისადმი,** მგზნებარე მისალმების სიტყვები სოციალისტური სამშობლოს წმინდა საზღვრების ფხიზელი გუშაგებისადმი—სსრ კავშირის მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტისადმი.

დარბაზში არის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი, ფაბრიკებისა და ქარხნების სტახანოველები, ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილთა მებრძოლნი და მეთაურები. პირველ რიგებში სხედან საპატიო სტუმრები —შავი ზღვის ფლოტის სახელოვანი მეზღვაურების დელეგატები.

თეატრის სცენაზე, ვეებერთელა წითელ ტილოებს შორის მოთავსებულია პროლეტარული რევოლუციის უდიდესი სტრატეგების — **ლენინისა და სტალინის,** სსრ კავშირის თავდაცვის სახკომის, საბჭოთა კავშირის მარშლის **კ. ე. ვოროშილოვისა** და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახკომის **ლ. პ. ბერიას** პორტრეტები.

საზეიმო კრებას ხსნის საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია.

ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს. დარბაზში ხანგრძლივი ოვაცია გუგუნებს, როდესაც წარმოსთქვამენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის დიდი **სტალინის** სახელს. მთელი დარბაზი ფეხზე დგება, დიდი ბელადის, მამისა და მასწავლებლისადმი სიყვარულისა და ერთგულების ერთი გრძნობით გამსჭვალული.

უდიდესი აღფრთოვანებით, მთელი დარბაზის ტაშის გრიალში ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმში აგრეთვე ამხანაგებს: **ვ. მოლოტოვს, კ. ვოროშილოვს, ა. ჟდანოვს, ლ. კაგანოვიჩს, მ. კალინინს, ა. მიქოიანს, ა. ანდრეევს, ნ. ხრუშჩოვს, ლ. ბერიას, ნ. შვერნიკს.**

პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან ამხანაგები: **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, ფ. მახარაძე, კ. შეროზია, ს. იშხანოვი, გ. სტურუა, ი. კოჭლამაზაშვილი, ვ. ეგნატაშვილი,** შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. **ბლეიზერი,** წითელფლოტელები: ამხ. **არსენიძე, შკონდინი, პერებასოვი, ურუშაძე,** ამხანაგები: **ვ. სალაძე, ი. დორონინი, შ. დადიანი, მ. ჭიაურელი,** ორდენოსანი აკადემიკოსი **ი. ჯავახიშვილი, ა. კვაჭაძე, ნინო ჩარკვიანი, პ. მჭედლიძე, ვ. გარსევანიძე, ე. ჩოფიკაშვილი, ს. ეული, თ. ჭავჭავაძე** და სხვ.

სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღის შესახებ შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, დივიზიის კომისარი ამხ. **ი. დორონინი,** რომელსაც კრება ტაშით შეხვდა. ამხ. **დორონინის** მოხსენებას რუსეთის ფლოტის გმირული წარსულის შესახებ, მისი სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების შესახებ, საბჭოთა გემების ძალისა და ძლიერების შესახებ, არაერთხელ სწყვეტენ ხანგრძლივი ოვაციებით და მისასალმებელი შეძახილებით დიდი **სტალინის** პატივსაცემად, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვისა** და სსრ კავშირის თავდაცვის რკინისებური სახკომის ამხანაგ **ვოროშილოვის** პატივსაცემად.

დარბაზიდან ისმის შეძახილები:

„— **გაუმარჯოს დიდ სტალინს! „ვაშა!" „ურა"!**

— გაუმარჯოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელფლოტელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს!

ტრიბუნაზე ადის შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. ი. ბლეიზერი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე წითელფლოტელი ამხ. კ. არსენიძე და თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. სალაძე.

დარბაზში კვლავ იფეთქა მქუხარე ოვაციამ, როცა შემოვიდა წინადადება გაეგზავნოს მისალმება ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს.**

კრებამ ტაშის გრიალში მიიღო ამხანაგ **სტალინისადმი** მისალმების დეპეშის ტექსტი.

საზეიმო კრების დამთავრების შემდეგ გაიმართა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი დიდი კონცერტი.

ამხ. ი. ა. ბლეიზერის გამოსვლიდან

ამხანაგებო! შავი ზღვის მეზღვაურებმა დამავალეს მგზნებარე ბოლშევიკური წითელფლოტური სალამი გადავცე საბჭოთა საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანი გმირული ისტორია მდიდრდება კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ისტორიული თარიღით—პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის ყოველწლიურად დღესასწაულობის შესახებ.

თვითეული გემი, თვითეული ჩვენი ნაწილი მთავრობის ამ გადაწყვეტილებას იმით უპასუხებს, რომ ფრიადზე გადასწყვეტს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საქმეში მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ მზად ვართ ომისათვის. და ვაი იმ მტერს, რომელიც ხელჰყოფს ჩვენს საზღვრებს. ფაშისტებს ტყვიის ისეთი წვიმით გავუმასპინძლდებით, რომლისგანაც მსოფლიოში ვერავითარი ქოლგა ვერ დაიფარავს. **(ტაში).** ჩვენ მათ თავზე დავატეხთ ისეთ გრიგალისებურ ცეცხლს, რომელსაც მტრის ვერც ერთი გემი ვერ დაუდგება. ჩვენ მტრის გემებს მათსავე ზღვებში ჩავძირავთ **(ტაში).**

რევოლუციის დიადი გენიოსები — **ლენინი** და **სტალინი** საბჭოთა ქვეყნის წითელი სამხედრო ფლოტის შემქმნელნი არიან. ამხანაგი **სტალინი** უშუალოდ ხელმძღვანელობს ჩვენი საზღვაო და საოკეანო ფლოტის მშენებლობას. პარტია, ამხანაგი **სტალინი**—აი ვინ გვასწავლიდა და გვასწავლის გამარჯვებას. ჩვენი ბოლშევიკური პარტია ორგანიზატორი და მშენებელი იყო და არის დიადი სამშობლოსათვის შესაფერი მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტისა **(ტაში).**

ამხანაგებო! თუ გუშინ მძლავრი ფლოტი არა გვყავდა, ახლა ჩვენ ის გვყავს. **(ტაში).** და თუ ფაშისტები, კაცობრიობის ეს გადაგვარებულნი, გაბედავენ ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის დარღვევას, მაშინ მათ დარტყმას ჩვენ სამმაგი დარტყმით ვუპასუხებთ. ჩვენ მათ მოვაგონებთ ჩუდის ტბას — 1242 წელს, ჩვენ მათ მოვაგონებთ 1760 წელს, როდესაც რუსეთის არმიამ გაანადგურა მეფე ფრიდრიხის არმია და დაიკავა ბერლინი, რომლის კლიტე დღესაც ინახება ყაზანის ტაძარში, — ლენინგრადში.

ამხანაგმა **ვოროშილოვმა** სწორედ სთქვა, რომ რადგან ჩვენი ფლოტის მშენებლობას თვით ამხანაგმა **სტალინმა** მოჰკიდა ხელი, ეს ფლოტი უძლავრესი იქნება მსოფლიოშიო **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან **ლენინ-სტალინის** მებრძოლ პარტიას — მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს ამხანაგ **ვოროშილოვს!**

გაუმარჯოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარს ამხანაგ **კუზნეცოვს!**

გაუმარჯოს ჩვენს მეგობარს, ბელადსა და მასწავლებელს — დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში).**

ამხ. კ. არსენიძის გამოსვლიდან

შავი ზღვის სამხედრო ფლოტილიის ნაწილის კომკავშირელთა სახელით მოგილოცავთ საყოველთაოსახალხო დიდ დღესასწაულს —სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს **(ტაში).**

ელვის სისწრაფით მოედო მთელს საბჭოთა კავშირს ამბავი პარტიისა და მთავრობის მიერ წითელი სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღის დაწესების შესახებ.

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩვენი კომკავშირელები ამ სასიხარულო ამბავს. კომკავშირელებმა კიდევ უფრო ფართოდ გაშალეს მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება.

უკანასკნელ ტაქტიკურ ვარჯიშობაზე ჩვენმა ნაწილმა ერთხელ კიდევ აჩვენა თავისი მაღალი ბრძოლისუნარიანობა, მზადყოფნა ყოველ წუთში გამოვიდეს სამშობლოს დასაცავად და სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მტერს მისსავე ზღვაში.

თუ რა შესამჩნევად გაიზარდა ჩვენი წითელფლოტელების ბრძოლისუნარიანობა უკანასკნელ დროს, ამას შემდეგი ციფრი მოწმობს: სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის ჩვენი ნაწილის წითელფლოტელთა 75 პროცენტი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები არიან.

ჩვენი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული ჩაგვინერგა ჩვენ, მსოფლიოს უბედნიერეს ახალგაზრდობას დიდმა **სტალინმა.**

ყველა ჩვენთაგანი მზად არის ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტიის, პირადად ამხანაგ **სტალინის** პირველი მოწოდებისთანავე დადგეს დიადი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საყვარელ **სტალინს!** (მქუხარე ტაში).

ამხ. ვ. სალაძის გამოსვლიდან

ამხანაგებო!

ლენინ-სტალინის პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, ჩვენი საყვარელი ბელადი და მასწავლებელი დიდი **სტალინი** დაუღალავად ანმტკიცებენ და სრულყოფილს ხდიან ჩვენს შეიარაღებულ ძალებს—მუშურ-გლეხურ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებიც ფხიზლად ჰგუშაგობენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზღვრებს.

თავხედმა იაპონელმა სამურაებმა თავის დროზე უკვე მიიღეს კარგი გაკვეთილი ხასანის ტბასთან ბრძოლის დროს, მაგრამ, როგორც სჩანს მათთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ისინი ახალ თავხედურ პროვოკაციებს აწყობენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებზე, რომლებსაც, ურთიერთდახმარების შესახებ არსებული შეთანხმების მიხედვით, საბჭოთა ქვეყანა ისევე დაიცავს, როგორც თავის საკუთარ საზღვრებს.

სსრ კავშირის მთავრობის მიერ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის დაწესება გამოხატავს საბჭოთა ხალხის ნება-სურვილს—ჰყავდეს მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე, ყველაზე უფრო ძლიერი და ყველაზე უფრო მრისხანე ფლოტი.

ბოლშევიკური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილით ამხანაგი **სტალინის** უშუალო და ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით ჩვენი მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტი დღითიდღე სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდება.

და თუ მტერი გაბედავს ხელი აღმართოს ჩვენი სამშობლოს წმინდა საზღვრების წინააღმდეგ, მაშინ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალები მათ დაუზოგავად გაანადგურებენ მათსავე წყლებში.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მძლავრ სამხედრო - საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ, უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ორგანიზატორს დიდ **სტალინს!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

სესიის 1939 წლის 22 ივლისის სხდომა

კამათი საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ გ. ი. კიკნაძის სიტყვა

ამხანაგებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის წინაშე დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხებია გადასაწყვეტად დასმული. ჩვენმა სესიამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიული XVIII ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული მესამე ხუთწლედის მეორე წლის — 1939 წლის ბიუჯეტი საქართველოს სს რესპუბლიკისათვის.

საქართველოს სსრ 1939 წლ. ბიუჯეტი, რომელიც ამ სესიაზე წარმოდგენილ იქნა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის დეპუტატის ამხ. ციმაკურიძის მოხსენების სახით, მთლიანად და სავსებით ეფარდება იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დასახა ბოლშევიკების ისტორიულმა XVIII ყრილობამ. ეს ბიუჯეტი სავსებით ეფარდება აგრეთვე და გამომდინარეობს ჩვენი მთლიანი ოჯახის, დედა-სამშობლოს — სსრკ 1939 წლის ბიუჯეტიდან, რომელიც მოიწონა და მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის მესამე სესიამ.

სესიაზე წარმოდგენილი მოხსენების მიხედვით 1939 წლის ბიუჯეტი განისაზღვრება 1.156.207 ათასი მანეთით. ასეთი დიდი მასშტაბის ბიუჯეტი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგების ამგვარი დაფინანსება, ამგვარი ფართო შესაძლებლობის და გასაქანის შექმნა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ლენინურ-სტალინური ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის ურყევი გატარების შედეგია და თავდებია იმისა, რომ მესამე ხუთწლედში ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები კომუნიზმის ჩირაღდნის, ჩვენი ქვეყნის გამარჯვებათა მესაჯის, გენიალური **სტალინის** ხელმძღვანელობით საუკეთესოდ განხორციელდება.

იმ დიდ ზრდასთან ერთად, რომლითაც ხასიათდება საქართველოს სსრ ბიუჯეტი მთლიანად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახალხო განათლების დაფინანსების ზრდა.

საქართველოში უდიდესი მიღწევები გვაქვს კულტურის აყვავების საქმეში. ორი ხუთწლედის განმავლობაში შესამჩნევად გაიზარდა სახალხო განათლების ბიუჯეტი.

საერთოდ განათლებაზე, ყველა უწყებების ხაზით, საქართველოს მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 545.912.010 მანეთი, რაც საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობის ბიუჯეტის 47,2 %-ს შეადგენს.

ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ მეორე ხუთწლედის დასაწყისისათვის ბიუჯეტი პირველი ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით გაიზარდა ერთიოთხად და უფრო მეტად, მესამე ხუთწლედის პირველ წელს კი პირველი ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით 19-ჯერ, ხოლო 1939 წლ. იმავე პერიოდთან შედარებით — სესიაზე წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით 23-ჯერ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე ჩვენ მოგვიხდა კოლოსალური მუშაობის ჩატარება როგორც სახალხო მეურნეობის, ისე კულტურული მშენებლობის დარგში. ამ მუშაობის ძირითადი სიმძიმე ხვდა ორი სტალინური ხუთწლედის წლებს. ამ წლების განმავლობაში ძირეულად შეიცვალა საბჭოთა საქართველოს სახე და იგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად გამოვიდა მოწინავეთა რიგებში, მიიღო უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ზრდასთან შეფარდებით იზრდებოდა სკოლების ქსელი და მოსწავლეთა კონტინგენტი.

თუ ყველა ტიპის სკოლების რაოდენობა 1914-15 წ. უდრიდა 1759-ს 154.670 მოსწავლით, ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში 1938 წელს იმავე 1914-15 წელთან შედარებით სკოლების ქსელი გაიზარდა 160%-ით, მოწაფეთა კონტინგენტი — 373%-ით.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე ჩვენ სრულად განვახორციელეთ საყოველთაო სავალდებულო სწავლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში როგორც ქალაქად, ისე სოფლად. განხორციელებულია აგრეთვე საყოველთაო სწავლება არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში ქალაქად.

მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, 1935 წლიდან 1938 წლამდე, აშენებულ იქნა 304 სასკოლო შენობა 70.000 მოსწავლისათვის, რისთვისაც ბიუჯეტით დაიხარჯა 52.917 ათასი მანეთი. აგებულია შენობები სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის, სტალინირის და გორის სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის, ბათუმის და სტალინირის სამასწავლებლო ინსტიტუტების საერთო საცხოვრებლებისათვის. დამთავრებულია აგრეთვე ამხანაგ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ქიმიური კორპუსის პირველი რიგის მშენებლობა.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, მათი რიცხვი ძალიან გაიზარდა. თუ რევოლუციამდე არ არსებობდა არცერთი უმაღლესი სასწავლებელი, დღეს საბჭოთა საქართველოში გვაქვს 21 უმაღლესი სასწავლებელი 22 ათას სტუდენტზე მეტი კონტინგენტით. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელთა ქსელიც. ასე, მაგალითად, 1931-32 სასწავლო წლამდე ჩვენ გვქონდა მხოლოდ ერთი პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებელი 1856 კაცის კონტინგენტით, მეორე ხუთწლედის ბოლოს კი — 10 პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებელი 9619 სტუდენტით.

უმაღლესი სასწავლებლების ზრდის პროცესს თან ახლდა მნიშვნელოვანი ზრდა პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა. დღეს მათი რიცხვი უდრის 895 კაცს. მათ შორის არიან გამოჩენილი მეცნიერები, 3 აკადემიკოსი და ამდენივე აკადემიის წევრ-კორესპონდენტები.

შეფარდებით იზრდებოდა მასწავლებელთა კადრიც. თუ 1914-15 წელს მასწავლებელთა რაოდენობა იყო 5.773, — 1937 წ. იგი უდრიდა 22.899, ახლა იგი 30.000 აღწევს.

ახალი საბჭოთა პედაგოგიური კადრების ამგვარი ზრდის შედეგად, იმის შედეგად, რომ ლენინ-სტალინის დიადი პარტია ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენდა და იჩენს სახალხო მასწავლებლისადმი, ჩვენს ქვეყანას ათასობით ჰყავდა საუკეთესო აღმზრდელები, მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმისათვის თავდადებული ადამიანები. საბჭოთა ქვეყანა აფასებს მათ თავდადებას, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მარტო საქართველოდან ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სოფლის 126 მასწავლებელი, საქ. სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით დამსახურებული მასწავლებლის სახელწოდება მიენიჭა 84 მასწავლებელს. საკმაოდ დიდია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის ზრდა საქართველოს სსრ განსახკომის სისტემაში. რევოლუციამდე არ იყო არცერთი საერთო, ყველასათვის მისაწვდომი კლუბი, არსებობდა 85 მეტად ღარიბი ბიბლიოთეკა და სამკითხველო წიგნების უმნიშვნელო რაოდენობით, რომლებსაც ინახავდნენ კერძო პირები ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ამ დარგში გვაქვს უდიდესი მიღწევები. პირველი ხუთწლედის დაწყებისას იყო 613 საკლუბო დაწესებულება, მეორე ხუთწლედის ბოლოს — 1193, მასობრივი ბიბლიოთეკა იყო 401, ამჟამად არის 1204.

აღსანიშნავია აგრეთვე მაჩვენებლები მუზეუმების შექმნის ხაზით. რევოლუციამდე თბილისში არსებობდა მხოლოდ ერთი მუზეუმი — კავკასიისა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მოწყობილია 22 სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

ასეთია ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის უდიდესი ზრდისა და აყვავების ზოგიერთი მაჩვენებლები ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე. ყველაფერი ეს შედეგია ჩვენი პარტიის გენიალური ხელმძღვანელობისა და ზრუნვისა სახალხო განათლების დარგში, შედეგია იმ დაუღალავი ყურადღებისა და პრაქტიკული დახმარებისა, რომელსაც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო უწევენ სახალხო განათლების ორგანოებს. განსაკუთრებით დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის საქართველოს კულტურული აღმშენებლობის დარგში ქართველი ხალხის საამაყო შვილს, დიდი სტალინის ერთგულ მოწაფეს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას. (მქუხარე ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო განათლების წინაშე დიდი მნიშვნელობის მქონე ამოცანები დგას.

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს 1-ლი მოწვევის პირველი სესიიდან ერთი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში საქ. განსახკომმა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საქ. სსრ სახკომსაბჭოს ყოველდღიური დახმარებით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა.

ეს მიღწევები გამოიხატება შემდეგში: საგრძნობლად გაუმჯობესდა სკოლებისა და მასწავლებლებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა, სკოლები უკეთ იქნენ უზრუნველყოფილი მასწავლებელთა კადრებით, სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოებით, კაბინეტ-ლაბორატორიებით. წესრიგში იქნა მოყვანილი მასწავლებელთა აღრიცხვისა და სწორი განაწილების საქმე. ჩატარდა ყველა მასობრივი სკოლების პასპორტიზაცია, დამთავრდა მასწავლებელთა როგორც პირველი, აგრეთვე მეორე რიგის ატესტაცია. ატესტაციაში გასატარებელი 23.761 მასწავლებლიდან ატესტაცია გაიარა 23.120 მასწავლებელმა. მასწავლებელთა სახელწოდება მიენიჭა 14.227 მასწავლებელს, პირობით იქნა დატოვებული 7.547 მასწავლებელი, რომელთათვისაც განსახკომმა მოაწყო გადასამზადებელი კურსები მათი კვალიფიკაციის ამაღლებლად. მოხსნილია, როგორც შეუფერებელი, 882 კაცი.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ენის, რუსული ენის, სწავლების საქმე.

გაუმჯობესდა პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საბავშვო სახლებისადმი ხელმძღვანელობა.

გასულ წელთან შედარებით უკეთ მიმდინარეობს ქალაქის სკოლების მშენებლობა: სკოლები დროზე იქნენ უზრუნველყოფილი პროექტებით და ხარჯთაღრიცხვით და აგრეთვე ყველა სამშენებლო მასალებით.

ამასთან ერთად განათლების სახალხო ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს: დღემდე კვლავ დიდია ორწლიან მოსწავლეთა რიცხვი, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი ბრძოლა სწარმოებს მოსწავლეთა განთესვის სალიკვიდაციოდ. მასწავლებლებისათვის მეთოდური დახმარების საქმეში განსახკომს ჯერ კიდევ სერიოზული მუშაობის ჩატარება მართებს. ზოგიერთ სკოლაში სუსტია აღმზრდელობითი მუშაობა, განსაკუთრებით შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა. განათლების ზოგიერთი განყოფილების აპარატი დღემდე დაკომპლექტებული არ არის კვალიფიციური უნარიანი კადრებით.

იმისათვის, რომ განათლების ორგანოების მუშაობა სავსებით უპასუხებდეს სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს განსახკომის და მისი ადგილობრივი ორგანოების ყოველდღიური მუშაობა. განათლების ორგანოებს ამისათვის ყველა პირობები აქვთ შექმნილი; ამის დამადასტურებელია სესიაზე წარმოდგენილი ნახევარმილიარდიანი ბიუჯეტი საქართველოს სსრ განათლების დარგისათვის 1939 წელში, რომელსაც უთუოდ დაამტკიცებს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

განათლების 1939 წლის ბიუჯეტი ისტორიული XVIII პარტყრილობის მიერ დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

განათლების 1939 წლის ბიუჯეტის დიდი ნაწილი — 246 მილ. მანეთის რაოდენობით დაიხარჯება ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა-განათლებისათვის. გარდა იმისა, რომ ამ თანხით უზრუნველყოფილი იქნება არსებული სასკოლო ქსელის დაფინანსება, იგი შესაძლებელს ხდის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ქსელისა და მოსწავლეთა კონტინგენტის შემდგომ ზრდასაც.

ამასთან ჩვენ შევძლებთ საქართველოში განვახორციელოთ ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების შესახებ ქალაქად დაწესებულ ვადაზე 2 წლით ადრე, ე. ი. 1940 წელს და სოფლად — დაწესებულ ვადაზე ერთი წლით ადრე, ე. ი. 1941 წელს.

მაგრამ ეს საკითხის გადაჭრის ერთი მხარეა. საქმე ის არის, რომ ამასთან ერთად სასკოლო მშენებლობა და საერთოდ ქსელის დაგეგმვა უნდა მოვახდინოთ სწორი განლაგების საფუძველზე.

წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის პედაგოგიური კადრების მომზადება - გადამზადებისათვის გათვალისწინებულია დაიხარჯოს 70 მილ. მანეთი, წინააღმდეგ გასული წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ 60.900 ათასი მანეთისა.

ეს საშუალებას მოგვცემს წელს მნიშვნელოვნად გავზარდოთ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების ქსელი და გავადიდოთ მისაღები კონტინგენტის რიცხვი. უკვე გამოტანილია დადგენილება გორის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტის ოთხწლიან პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთების შესახებ, მიღებულია აგრეთვე დადგენილება სამი ახალი ორწლიანი ინსტიტუტის გახსნის შესახებ თბილისში, თელავში და ზუგდიდში. განსახკომის სისტემის უმაღლეს სასწავლებელში წელს მიღებული იქნება 3.320 სტუდენტი, რაც იწვევს საერთო კონტინგენტის ზრდას 900-მდე კაცის რაოდენობით.

სომხურ-აზერბაიჯანული ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნა თბილისში შესაძლებლობას მოგვცემს უმოკლეს ხანში მოვამზადოთ კვალიფიციური მასწავლებლები სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისათვის და ამით თავიდან ავიცილოთ კადრების ის ნაკლებობა, რომელიც ამ სკოლებში გვაქვს.

გათვალისწინებულია მშენებლობა ქალაქად 10 სკოლისა 5.440 მოწაფისათვის, სოფლად — 91 სკოლისა 23.205 მოსწავლის ტევადობით, სკოლებს გარდა გათვალისწინებულია 13 საბავშვო ბაღი 975 ბავშვის ტევადობით, სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე რიგის ფიზიკა-ქიმიური კორპუსის მშენებლობა, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის, სოხუმის პედინსტიტუტის შენობის, დიდი-ლილოს სოცკულტურული სახლის, ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ამბროლაურის რაიონული ბიბლიოთეკის მშენებლობანი.

ცუდი მდგომარეობა გვაქვს სოფლის სკოლების მშენებლობის ხაზით. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის სკოლები პროექტებით, ხარჯთაღრიცხვით და სამუშაო ნახაზებით და აგრეთვე დაფინანსებით დროულად იყვნენ უზრუნველყოფილნი.

სასკოლო მშენებლობისათვის პირველ და მეორე კვარტალში ათვისებული უნდა ყოფილიყო 6.930.300 მანეთი. ათვისებულია 4.064.900 მანეთი ანუ 58,6 %.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს ა/წ. 9 თებერვლის დადგენილებით რაიაღმასკომებს დაკისრებული აქვთ სკოლების მომარაგება სამშენებლო მასალით. მიუხედავად ასეთი დადგენილებისა, რაიაღმასკომები განსახკომიდან მოითხოვენ არა მარტო დეფიციტურ სამშენებლო მასალას, არამედ აგურს, კრამიტს და კირსაც კი.

განსახკომი შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება სოფლად სასკოლო მშენებლობას სამშენებლო მასალით.

ბევრია ისეთი შემთხვევები, როცა მშენებლობისათვის ფაქტიურად გამოყოფილია საჭირო მასალები, მაგრამ მათი ათვისება დროულად არ ხდება, ჭიანურდება.

მე საჭიროდ ვთვლი ამ სესიაზე ხელმძღვანელი საფინანსო ორგანოების ყურადღება მივაქციო შემდეგ საკითხებზე:

1) ჩვენს მუშაობას თანხების ათვისების საქმეში დიდად უშლის ხელს ის გარემოება, რომ დღემდე მოგვარებული არ არის მსხვილ დაწესებულებათა ხელმძღვანელობისათვის კრედიტების განკარგულების უფლების გადაცემის საქმე. დღემდე საშუალო სკოლის დირექტორები სკოლის ხარჯთაღრიცხვით უზრუნველყოფილი სახსრების ხარჯვის უფლებას მოკლებული არიან. ასევე კრედიტის განკარგულების უფლება არა აქვთ სოცკულტსახლებს, სარაიონო კლუბებს, ბიბლიოთეკების და სხვა დაწესებულებათა გამგეებსა და დირექტორებს.

დაწესებულებათა დირექტორებსა და გამგეებს აუცილებლად უნდა მიეცეთ უფლება იყვნენ განმკარგულებელნი იმ სახსრებისა, რომელიც დაწესებულების ხარჯთაღრიცხვით არის განკუთვნილი. დაწესებულების დამოუკიდებელ ბალანსზე გადაყვანა და კრედიტების განკარგულების უფლების გადაცემა გააუმჯობესებს თანხების ათვისების საქმეს, დირექტორებს საშუალებას მისცემს სამუშაო გეგმები შეუფარდონ ფინანსიურ საშუალებებს და გამოსწორდება ის გარღვევა, რასაც ამჟამად აქვს ადგილი სამუშაო გეგმების ფინანსირებით უზრუნველყოფის საქმეში.

2) საჭიროა გადაისინჯოს განათლების განყოფილებათა შტატის დაკომპლექტების წესი და საკითხი ცალკეული რაიონების მიხედვით. მოცემული საშტატო კონტინგენტი განაწილებული არ არის მიზანშეწონილად. შტატების განაწილება სწარმოებს განსახკომისაგან დამოუკიდებლად, ტიპიური შტატის მიხედვით, შესაბამისად სასოფლო საბჭოების რაოდენობისა, რის შედეგადაც შტატების განაწილებას ახასიათებს ბევრი ნაკლი.

3) სკოლების კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით, მთელი რიგი რაიონების განათლების განყოფილებებს ჰყავთ მსუბუქი ავტომანქანები. მაგრამ ამ მანქანების შოფერების შენახვის ხარჯები ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის, მიუხედავად ჩვენი მრავალჯერ თხოვნისა.

მანქანების შენახვაზე გაწეულ ხარჯებს სთვლიან უკანონოდ და არა ერთი და ორი განათლების განყოფილება დასჯილა იმისათვის, რომ მან დაიქირავა შოფერი ან შეიძინა საწვავი მასალა. ეს საკითხიც აუცილებლად საჭიროებს მოგვარებას.

4) აუცილებელია, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, რუსული და ქართული ენების მასწავლებლების თითო განაკვეთის რაოდენობის ხელფასით უზრუნველყოფა, თუნდაც მათ არ ჰქონდეთ სრული დატვირთვა, რისთვისაც უნდა დაგვერთოს ნება, რათა ბიუჯეტის შესრულების პროცესში ამ მიზნით გაღებულ იქნას საჭირო სახსრები. ეს საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ სკოლები აღნიშნულ საგნებში კვალიფიციური მასწავლებლებით, რაც, თავისთავად ცხადია, დიდად ამაღლებს რუსული და ქართული ენების სწავლების ხარისხს.

ამხანაგებო, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო! ვამთავრებ რა ჩემს სიტყვას, მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეორე სესია მთლიანად მიიღებს წარმოდგენილ ბიუჯეტს იმ საქმიანი დამატებებით, რომელიც შემოტანილი იყო აქ. ეჭვი არ არის, რომ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, როგორც ყოველთვის, ისე წელსაც საუკეთესოდ იქნება შესრულებული ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი. ეჭვი არ არის, რომ მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის ბიუჯეტის შესრულება კიდევ უფრო ააყვავებს ორდენოსან საქართველოს.

გაუმარჯოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საამაყო დეპუტატს, ქართველი ხალხის საუკეთესო შვილს ამხ. **ლავრენტი ბერიას. (მხურვალე ტაში).**

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს, მოწინავე კაცობრიობის გენიოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატს, მშობლიურ **სტალინს! (მხურვალე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ ვ. მ. მაზიაშვილის სიტყვა

ამხანაგებო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

ჩვენ მოვისმინეთ საქართველოს სსრ რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრის დეპუტატ ციმაკურიძის მოხსენება საქართველოს სს რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და საქართველოს სსრ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტი აგებულია იმ ამოცანების სავსებით შესაბამისად, რომლებიც დაგვისახეს დიდმა სტალინმა და ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა. 1939 წლის ბიუჯეტი წარმოადგენს მძლავრ იარაღს იმ ამოცანათა განსახორციელებლად, რომლებიც დასმულია ჩვენი ქვეყნის წინაშე მესამე სტალინურ ხუთწლედში.

პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა გენიალური სიცხადითა და სიღრმით გააშუქა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ბრწყინვალე შედეგები, და პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი აღჭურვა კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის დიადი პროგრამით. ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია სოციალიზმი. საბოლოოდ ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები, საბოლოოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. საბჭოთა კავშირმა ძირითადად დაამთავრა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია.

სოციალიზმის ეს შესანიშნავი მონაპოვარნი მუშების, კოლმეურნეების და საბჭოთა ინტელიგენციის გულს ავსებენ თავისი სამშობლოსადმი უდიდესი სიამაყის გრძნობით, კომუნისტური პარტიისა და ხალხთა გენიალური ბელადის დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულით.

საქართველოს მძლავრ ეკონომიურ და კულტურულ ზრდაში უდიდესი როლი შეასრულა ბიუჯეტმა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტი ისაზღვრება 1.156.207 ათასი მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტის შემოსავალი 1938 წლის შემოსავალთან შედარებით იზრდება 7 %-ტით და გასავალი 8,1%-ტით. როგორც ხედავთ, ბიუჯეტის ზრდა 1938 წელთან შედარებით 1939 წელს საგრძნობია. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის ასეთი ზრდა მოწმობს ჩვენი ქვეყნის სიძლიერეს, ეს მოწმობს საქართველოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომში უფრო გაძლიერებას.

თუ ავიღებთ ცალკე რაიონების ბიუჯეტს, ის საგრძნობლად იზრდება 1938 წლის ბიუჯეტთან შედარებით. მარტო სიღნაღის რაიონში ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა შემდეგ სურათს იძლევა:

1933	წელს	2.612	ათასი მანეთი
1934	„	3.546	„ „
1935	„	4.787	„ „
1936	„	6.292	„ „
1937	„	8.367	„ „
1938	„	9.042	„ „

ხოლო 1939 წელს გათვალისწინებულია 7.340,6 ათ. მანეთი. რომ განვიხილოთ ეს ციფრები, თითქოს ბიუჯეტი შემცირებულია მაგრამ ეს ასე არ არის, როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, 1938 წლის შემოდგომაზე ჩვენი რაიონი ორ რაიონად გაიყო — სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებად. წითელწყაროს რაიონის ბიუჯეტს თუ მოვუმატებთ ჩვენი რაიონის ბიუჯეტს, ნაცვლად 1938 წლის 9.042 ათასი მანეთისა, 1939 წელს ორივე რაიონის ბიუჯეტი უდრის 11.164,3 ათ. მანეთს, მაშასადამე, ზრდა საგრძნობია.

ასეთია სიღნაღის რაიონში ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა აღნიშნული 5-6 წლის განმავლობაში.

ამჟამად რაიონის დაწყებითსა და საშუალო 35 სკოლაში მშრომელთა 11.000-მდე შვილი სწავლობს, ხოლო მასწავლებელთა რაოდენობა უდრის 360-ს, რაც უდიდეს კულტურულ ძალას წარმოადგენს ჩვენი რაიონისათვის. ბიუჯეტის ყოველწლიურად ზრდამ საგრძნობლად გააუმჯობესა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე. მარტო 1938 წელს ჩვენი რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის 2 მილიონ მანეთზე მეტი იყო გათვალისწინებული. თუ წინათ სიღნაღის ყოფილ მაზრაში მარტო ორი აფთიაქი იყო და რამდენიმე კერძო ექიმი, ახლა მარტო ჩვენს რაიონში 8 აფთიაქია, 23 საექიმო პუნქტი 51 ექიმით.

ორი პოლიკლინიკა და საავადმყოფოები 245 საწოლით. ეს წარმატებანი და მიღწევები უზრუნველყოფილი იყო ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდით და საბჭოთა ქვეყნის მშრომელ ხალხისადმი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიური მზრუნველობით.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხანაგმა ციმაკურიძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, თუ რა გარღვევის ფაქტებს ჰქონდა ადგილი ზოგიერთ რაიონში 1937 წლის ბიუჯეტის შესრულების დროს.

ასეთ ფაქტებს რომ შემდეგშიაც არ ჰქონდეს ადგილი, საჭიროა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უფრო გააძლიეროს თავისი ხელმძღვანელობა რაიონულ საფინანსო ორგანოებზე.

ამხანაგო დეპუტატებო, მე მხარს ვუჭერ იმას, რომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ მასში შეტანილი ცვლილებებით დამტკიცდეს.

1939 წლის ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე მტკიცდება, ეს არის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ზრდის ბიუჯეტი, ხალხთა მასების კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ბიუჯეტი. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს ბიუჯეტი შესრულებულ იქნება და უზრუნველყოფილი იქნება მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გრანდიოზული პროგრამის განხორციელება.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურს და საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

დეპუტატ ნ. ა. ჯინჭარაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მოისმინა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ციმაკურიძის მოხსენება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქ. სსრ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ამხ. ციმაკურიძის მოხსენება მკაფიოთ ლაპარაკობს იმ უდიდეს წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ორდენოსანმა საქართველომ.

უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის წინაშე წარმოდგენილი ბიუჯეტი ასახავს იმ უდიდეს წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით.

სტალინური მზით გამთბარ დიდ საბჭოთა ქვეყანაში აგებულია სოციალიზმი, საბოლოოდ ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები და სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ერთად აყვავდა და გაიფურჩქნა საქართველოს რესპუბლიკაც. თუ წინათ საწარმოები ერთეულებს წარმოადგენდნენ, დღეს ორდენოსანი საქართველო ამაყობს თავისი მოწინავე მრეწველობით, მძლავრი ფაბრიკა-ქარხნებით, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი წარმოებებით.

საქართველოს ამ დიდ მიღწევებში საკმაო ხვედრითი წონა აქვთ ქ. ქუთაისის მოწინავე ფაბრიკებს და ქარხნებს, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინათ იქნა აგებული.

თქვენთვის ცნობილია, თუ რას წარმოადგენდა ქუთაისი ცარიზმის და მენშევიკების ბატონობის დროს. ქუთაისი იყო თავადების, აზნაურების, მუქთახორების მეშჩანური ქალაქი, რომელსაც არ ჰქონდა მსხვილი საწარმოები. ახლა ქუთაისი ლენინ-სტალინის პარტიის მზრუნველობით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობით გახდა საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ქალაქად.

ქალაქ ქუთაისისა და მისი რაიონის ბიუჯეტი თვალსაჩინოდ გამოხატავს მშენებლობის, წარმოების გაფართოებას, მშრომელთა მატერიალურ-კულტურულ დონის შემდგომ ამაღლებას. თუ 1939 წლის ბიუჯეტს შევადარებთ 1933 წლის ბიუჯეტს, დავინახავთ შემდეგ სურათს: 1933 წელს კომუნალურ და საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯა 2.315,3 მანეთი, 1939 წელს კი უნდა დაიხარჯოს 5.136,8 მანეთი.

ქუთაისში გაშლილია საავადმყოფოების, ამბულატორიების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგების, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების ფართო ქსელი, ყოველწლიურად იზრდება და მრავლდება კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი.

ამჟამად ქუთაისს ამშვენებს ლენინის სახელობის რიონჰესი, ამხანაგ ვ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატი, მაუდის, ტრიკოტაჟის, სამკერვალო, ფეხსაცმლის ფაბრიკები, ამხანაგ მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანა, შუშის ქარხანა, მექანიზებული აგურის ქარხანა, ამ დღეებში მთავრდება ლიტოპონის ქარხანა, რომელიც ჩვენს ქვეყანას მისცემს საუკეთესო ხარისხის ფერად საღებავებს. წარმატებით მუშაობენ ბარიტის ქარხნები, გუმბრინის წისქვილი და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის წარმოებანი.

ქუთაისის მშრომელმა კოლმეურნეებმა უდიდესი წარმატებები მოიპოვეს საკოლმეურნეო ცხოვრების შემდგომი განვითარების საქმეში, ჩვენი კოლმეურნეობები განმტკიცდნენ პოლიტიკურ-ეკონომიურად და ორგანიზაციულად. თუ 1937 წელს მხოლოდ ერთი მილიონერი კოლმეურნეობა გვყავდა, ამჟამად გვყავს 7. თუ 1937 წელს ცალკეულ კოლმეურნეობებში შრომადღეზე მოდიოდა სამი მანეთი ფულად და ხუთი კილოგრამი სიმინდი, 1938 წელს გეგუთის კოლმეურნეობაში შრომადღეზე გასცეს 12 მანეთი ფულად და 13 კილოგრამი სიმინდი. ასეთი კოლმეურნეობები მრავალი გვყავს.

ამხანაგო დეპუტატებო! წარმოდგენილი ბიუჯეტი მკაფიოდ ლაპარაკობს იმ დიდ წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვა საქართველოს რესპუბლიკამ, წარმატებებზე, რომლებიც ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცების შედეგია. სახელმწიფო ბიუჯეტით სახალხო მეურნეობის დაფინანსება გასულ წელთან შედარებით უდიდეს ზრდას იძლევა, რაც გვიქმნის ყოველგვარ პირობებს, რათა პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ თანხები იმ სერიოზულ დავალებათა შესრულებისათვის, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას.

ქუთაისისათვის ამჟამად სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს ქალაქად საგზაო მუშაობის ჩატარება, ქუჩების ასფალტირება, ტროტუარების მოწყობა და გამწვანება. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ისეთ დიდ ობიექტებზე, როგორიც არის თეატრის მშენებლობა, რიონზე IV ხიდის მშენებლობა, ორი სრული საშუალო სკოლის, მუზეუმის, საბავშვო ბაღის, სასტუმროს და სხვა მშენებლობანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბინათმშენებლობის საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩა ქალაქი ქუთაისი, ამ მხრივ წელს გათვალისწინებულია 500.000 მანეთის დახარჯვა, რაც დაუბრკოლებლივ უნდა იქნას ათვისებული.

ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი 3.000-მდე სტუდენტს ითვლის, დღემდე ისინი საცხოვრებლად მოთავსებული არიან ყოფილ სასამართლოს შენობაში, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტუდენტთა მოთხოვნილებას ბინებზე. სასურველი იყო განათლების სახალხო კომისარიატს დაეყენებია საკითხი ქ. ქუთაისში სტუდენტთა საცხოვრებელი ბინის მშენებლობის შესახებ. საჭიროდ მიმაჩნია სესიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და გაითვალისწინოს აღნიშნული მშენებლობა 1939-40 წელს.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს სოციალიზმის იმ გიგანტურ გამარჯვებებს, რომლებსაც მიაღწიეს მუშებმა და გლეხებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

ეს ისტორიაში უდიდესი მონაპოვარი ჩაწერილია ჩვენი ეპოქის შესანიშნავ დოკუმენტში — სტალინურ კონსტიტუციაში.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს კომუნიზმის გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორს, ჩვენს ბელადს და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს! (ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტს

ბრძანება
სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრისა

1939 წლის 24 ივლისი. ქ. მოსკოვი.

№ 275

ამხანაგო წითელფლოტელებო, წითელარმიელებო, მეთაურებო, კომისრებო და პოლიტმუშაკებო!

მხურვალედ მოგესალმებით და გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს—სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

უდიდესი სიხარულითა და უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის ჩატარების შესახებ.

პარტიის, მთავრობის, პირადად ამხანაგ **სტალინისა** და მისი უახლოესი თანამებრძოლების—ამხანაგ **მოლოტოვის, ვოროშილოვისა და ჟდანოვის** დაუღალავი, ყოველდღიური მზრუნველობით გარემოცული, სამხედრო-საზღვაო ფლოტი გადაიქცა მრისხანე, უძლეველ ძალად, სსრ კავშირის მოძმე ხალხთა მშვიდობიანი შრომის ურყევ სიმაგრედ.

ჩვენი სამშობლოს მრავალმილიონიანი ხალხი სიხარულითა და სიამაყით შეუდგა ისეთი ფლოტის მშენებლობას, როგორიც შეეფერება ჩვენს დიად სოციალისტურ სახელმწიფოს. ჩვენი სახელოვანი გემთმშენებლები უდიდეს ძალასა და ენერგიას ხარჯავენ ამ გიგანტურ სამუშაოზე. ისინი აძლევენ ფლოტს პირველხარისხოვან საბრძოლო გემებს, წარმატებით სწყვეტენ მათ წინაშე დასახულ ამოცანას.

დღეს საბჭოთა ხალხი ცხადჰყოფს მგზნებარე სიყვარულს თავისი პირმშოს—სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი, თავის მზადყოფნას კიდევ უფრო ენერგიულად აშენოს მძლავრი, „ჩვენი დიადი საქმის შესაფერისი საზღვაო და საოკეანო ფლოტი“ (მოლოტოვი).

დღეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანი მეზღვაურები თავიანთი ხალხის წინაშე ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ბოლშევიკური პარტიისა და მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი—ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელისადმი.

ამ დღეს სამხედრო მეზღვაურები ცხადჰყოფენ ძლიერებასა და თავის მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას ყოველ წუთს „...უპასუხონ ორმაგი დარტყმით ომის გამჩაღებლების დარტყმას, რომლებიც ცდილობენ დაარღვიონ საბჭოთა საზღვრების ხელუხლებლობა“.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს ჩვენი ქვეყანა ისეთ ვითარებაში დღესასწაულობს, როცა უკვე მძვინვარებს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის გაჩაღებული მეორე იმპერიალისტური ომი. ატარებს რა მშვიდობიანობის დაცვის პოლიტიკას, კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფი სოციალიზმის ქვეყანა მუდამ აგრესორების საომარი თავდასხმის მუქარის ქვეშ იმყოფება. მუშურ-გლეხური წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი მზად არიან ყოველგვარი „შემთხვევისათვის“, გარეშე მტრების ყოველგვარი ოინისათვის.

ამხანაგო წითელფლოტელებო, წითელარმიელებო, მეთაურებო, კომისრებო და პოლიტმუშაკებო!

მთელი თქვენი ძალების მობილიზაცია მოახდინეთ პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

გულმოდგინედ და ღრმად დაეუფლეთ ბოლშევიზმს—მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, დაუღალავად აიმაღლეთ რევოლუციური სიფხიზლე.

კიდევ უფრო სწრაფად დაეუფლეთ უახლეს ტექნიკას, რომელიც ფლოტის შეიარაღებას ხმარდება, რომ შეგეძლოთ ამ ტექნიკის ყოველგვარ საბრძოლო პირობებში გამოყენება.

ყოველმხრივად სრულყოფილი გახადეთ გემებისა და სამხედრო ნაწილების საბრძოლო მომზადება, განამტკიცეთ სამხედრო დისციპლინა, აამაღლეთ ორგანიზაციულობა სწავლებაში და გემისა და სამხედრო ნაწილის მთელს ცხოვრებაში.

ფართოდ გაშალეთ სოციალისტური შეჯიბრება, ეს ძლიერი საშუალება საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისა.

გაუმარჯოს ჩვენს აყვავებულ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს—საბჭოთა საზღვრების საიმედო დაცვას!

გაუმარჯოს სოციალიზმის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს—საკ. კ. პ. (ბ)!

გაუმარჯოს საყვარელ, მშობლიურ, დიდ **სტალინს**!

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი

ნ. კუზნეცოვი

წითელდროშოვანი ბალტიკა სამშობლოს საგუშაგოზე

ვ. ტრიბუცი

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის სარდალი, მე-2 რანგის ფლაგმანი

დღევანდელი წითელდროშოვანი ბალტიკა წარმოადგენს მძლავრ, ურყევ ძალას, რომელიც საიმედოდ იცავს ლენინის ქალაქის მისასვლელებს. ბალტიის ფლოტს აქვს ყველა ტიპის სახაზო ხომალდები, ახალი კრეისერები, სწრაფმავალი საესკადრო ნაღმოსნები, წყალქვეშა ნავები, საზღვაო ავიაცია, სანაპირო და საზენიტო თავდაცვის მძლავრი საშუალებანი. ბალტიის ზღვაზე დადის არა ერთი ხომალდი, არამედ მთელი შეერთებანი თანამედროვე უახლესი ხომალდებისა, რომელთაც პირველხარისხოვანი საბრძოლო თვისებები აქვს.

ერთერთმა ასეთმა შეერთებამ, რომელსაც სარდლობს მე-2 რანგის კაპიტანი ამხ. ლეკავა, ამასწინათ ბალტიის ზღვაზე მოახდინა დიდი ლაშქრობა, რომელმაც გვიჩვენა ახალი ხომალდების პირადი შემადგენლობის წარმატებანი ურთულესი ტექნიკისა და იარაღის დაუფლებაში. ლაშქრობამ აგრეთვე გვიჩვენა, რომ საბჭოთა ქარხნებში ჩვენი საკუთარი მასალებისაგან აგებული ხომალდები მეტად მაღალი შეფასების ღირსი არიან.

წითელდროშოვანი ბალტიკა მდიდარია მებრძოლთა და მეთაურთა შესანიშნავი კადრებით — პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკებით, რომლებიც ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგული არიან. ეს ადამიანები არიან საუცხოო მეზღვაურები და თავისი საქმის მცოდნეები; ისინი განუწყვეტლივ აფართოებენ თავიანთ ცოდნას და საბრძოლო სწავლებას.

ასეთებია მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. ნესვიცკი, რომელმაც ბალტიის ზღვაზე გაიარა სამოქალაქო ომის საბრძოლო სკოლა და მეთაურობდა ყველა კლასის ხომალდებს, მე-2 რანგის კაპიტანი ამხ. ბელოუსოვი, რომელიც ფლოტში მოვიდა კომკავშირის საგზურით და ახლა მეთაურობს მძლავრ ხომალდს, მე-2 რანგის კაპიტანი ამხ. ფელდმანი, რომელიც საუცხოოდ მართავს უახლეს ხომალდს და წარმატებით რაზმავს მთელ პირად შემადგენლობას პირველხარისხოვანი ტექნიკის ათვისებისათვის. მუშაობის ბოლშევიკურ ნიმუშს გვიჩვენებს კრეისერ „კიროვის“ მექანიკოსი ამხ. მელამედი, რომლის მზრუნველობაც მისთვის მინდობილი მექანიზმებისათვის მაღალი შექების ღირსია. „კიროვის“ უკანასკნელ ლაშქრობაში ბალტიის ზღვაზე კრეისერის მატერიალური ნაწილი უნაკლოდ მუშაობდა. ხომალდმა გაიარა 1000 მილი და ბაზაში დაბრუნდა მექანიზმების საუცხოო მდგომარეობით. მე-3 რანგის კაპიტანმა ამხ. უსტინოვმა ამასწინათ მომხდარ ლაშქრობაში გვიჩვენა საბჭოთა საზღვაო მეთაურის მაღალი თვისებანი.

ფლოტის მუდმივი მობილიზაციური მზადყოფნისათვის მეთაურებთან ერთად იბრძვიან კომისრები და პოლიტმუშაკები, რომელთა კადრებიც მნიშვნელოვნად შეივსო ახალი, მზარდი ადამიანებით, ასეთი კომისრების რიგს უწინარეს ყოვლისა ეკუთვნის წყალქვეშა ნავის ახალგაზრდა სამხედრო კომისარი ამხ. ბაბკოვი, ესკადრილიის სამხედრო კომისარი ამხ. ობუხოვი და მრავალი სხვ. ეს კომისრები მჭიდროდ არიან დაკავშირებული მასებთან, მათ გარშემო ორგანიზებულია აქტივი, რომელზე დაყრდნობითაც ისინი ბოლშევიკური სიმტკიცით ამჟღავნებენ ნაკლოვანებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

ამჟამად შესამჩნევად გაიზარდა სამხედრო კომისრისა და პოლიტმუშაკის როლი ბალტიკაში.

საუკეთესო ადამიანებს ბაძავენ ფლოტის ყველა მებრძოლები და მეთაურები. მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ნიშნით წითელდროშოვანი ბალტიკა იბრძვის ახალი წარმატებებისათვის საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

ამჟამად ბალტიკაზე სწარმოებს გაცხოველებული საზაფხულო სწავლება.

ყველა ხომალდი მუშაობს საცეცხლო მომზადების ამოცანათა შესრულებაზე. სროლა მეტწილად სრულდება „კარგზე“ და „ფრიადზე“. ასეთი მაჩვენებლები აქვთ სახაზო გემების „მარატის“ და „ოქტიაბრსკაია რევოლუციას“ არტილერისტებს. ამ ხომალდის ცეცხლის მმართველმა უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ბრედუნმა, რომელიც საკლასო არტილერისტად ითვლება, უკანასკნელ სროლაში მაღალი შედეგები გვიჩვენა.

ხომალდების პარტიული ორგანიზაცია უაღრესად სერიოზულ ყურადღებას უთმობს სროლის უზრუნველყოფას. თვითეული სროლის წინ პოლიტმუშაკები და კომუნისტები უზრუნველჰყოფენ ადამიანებისა და მექანიზმების მზადყოფნას სროლისათვის.

ათასობით ზემსახური განაგრძობს სამსახურს ფლოტში იმის შეგნებით, რომ მათი მუშაობა საბჭოების ქვეყნის ხომალდებზე საბჭოთა პატრიოტის ღირსების საქმეა. ათასობით ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტები თხოულობენ ჩარიცხვას ფლოტში. ძმებმა ივანე და ანტონ მედვედევებმა, როდესაც გაიგეს, რომ მათი მესამე ძმა ნიკოლოზი რჩება ბალტიის ფლოტში სასამსახუროდ, სარდლობას მიმართეს წერილით, რომელშიც სთხოვენ ჩარიცხონ ისინი ფლოტის რიგებში. ასეთი შინაარსის წერილები ფლოტის შტაბში მოდის საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. მათ შორის ბევრია იმ ადამიანების წერილი, რომლებიც ფლოტში მსახურობდნენ და ამჟამად თადარიგში იმყოფებიან.

წითელდროშოვან ბალტიის ფლოტს არაერთხელ ჩაუტარებია თავისი საბრძოლო ლაშქრობა ბალტიკაში თავდაცვის რკინის სახკომის ამხანაგ **ვოროშილოვის** ალმით. წითელდროშოვანი ბალტიკა ყოველდღიურად გრძნობს სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ **ჟდანოვის** მზრუნველობასა და ყურადღებას.

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის თვითეულმა მეზღვაურმა, თვითეულმა მებრძოლმა მეთაურმა და პოლიტმუშაკმა იცის, რომ მის საბრძოლო მომზადებას დაკვირვებით ადევნებს თვალს დიდი **სტალინი**.



ამხანაგები ლენინი და სტალინი მეზღვაურებთან სმოლნში 1917 წ.

მხატვ. კაზმიჩევის სურათიდან

მეზღვაურები წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის სახაზო გემ „მარატზე“.

სანდრო ეული

მეზღვაურებს

დაქრის ქარი და ზღვა ღელავს,—
ოკეანეც ღელავს „წყნარი“,—
მებრძოლთ ომის ცეცხლი ცელავს,
როგორც ტალღებს ფრთები ქარის.
ჩვენი ფლოტი ცურავს ზღვაში,
მიაპობს და ლეწავს ზვირთებს,
მტერთან ბრძოლას ელით გზაში,
გულს მზიური რწმენა გინთებთ.
გემს წითელი დროშა ამკობს
და ირხევა, როგორც ტალღა,
კრემლი თქვენთან ლაპარაკობს:
—გეზს დაიჭერთ მტრისკენ,—გალმა!
თქვენც ჰაერის ტალღებს შესძრავთ,—
გაუგზავნით პასუხს ბელადს,—
—ჩვენ მზადა ვართ, ვფიცავთ შენს თავს,
მტერი ბრძოლას თუ გაბედავს.
ზღვის ვაჟკაცებს არ გწამთ დაღლა,
თუნდაც ერთხელ, ერთი წამით,—
წინ ბელადი, დროშა მაღლა,—
მიგიძღოდეთ დღით და ღამით!

ირაკლი აბაშიძე

გემები

თვით კრეისერებიც ჩასთვლემენ ხანდახან,
მე თვითონ მინახავს ზაფხულის ზღვაში;
უეცრად შეწყდება წრიალი ტალღათა
და სიზმრებს რაინდულს ნახავენ მაშინ
სანახავს ამნაირს, სიზმარეთს ამგვარს
მეტყველიც ეძებს, სულდგმულიც ინატრებს,
ჩასთვლემენ გემები ყირიმის კართან
და ძილში ხედავენ დიდებულ წინაპრებს;
— ხედავენ: ამოდის თვრამეტი სინათლე —
თვრამეტი ხომალდი, ფოლადი მძიმე,
გმირულად ჩამსხდარნი უფსკრულის სილაზე.
იმ ცეცხლის ტრიალში, ოცი წლის წინედ.
ბოლაზის კედლებთან დგებიან რგოლად
და მიწაც გუგუნებს, და ტალღაც მღელვარებს,
ასწევენ ქვემეხებს, — ურალის ფოლადს —
და ყუმად გასცქერენ შორეულ გერმანეთს
დარაჯად ჩვეულნი დგანან და ისმენენ
ჩქამსა და გარხევას მშობლიურ ზღვაში
და ცხრაას თვრამეტის გმირობას იხსენებს
ღუზაზე დამდგარი, მრისხანე „ჰაჯი“ *)
ლამობენ, ლამობენ ღუზების აწყვეტას,
ჯავშნით შეკრულნი, მარჯვე და მძლენი,
მაშინ წინ წადგება და დინჯად დაჰხედავს...
ხომალდებს ამშვიდებს ფლაგმანი ბრძენი.
დაუვლის თვითეულს, შმაგსა და ურჩებს
სიდინჯეს უბრძანებს, სიმშვიდეს ავალებს
და როგორც მაგალითს — ნაპირთან უჩვენებს
ზვიადად დაგრაგნილ დიდ შთამომავლებს
სჩანს კრეისერები; თუჯიდა ფოლადი
მე თვითონ მინახავს ზაფხულის ზღვაში,
დგას გმირთა, გუგუნი, დინჯი და გულადი,
მე თვითონ მსმენია საყვირის ხმაში.
და როცა მზვერავი ნიშანით აცნობებს
ზღვისაკენ მრისხანედ დგებიან მაშინ,
ქვემეხების ლულებს პერანგებს აძრობენ,
მე თვითონ მინახავს ყირიმის ზღვაში.

---

*) „ჰაჯი-ბეი“: გმირულად ჩაძირული ესკადრის ერთერთი გემი იყო.

ი. ისაკოვი

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილე, ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი

სსრ კავშირი — მძლავრი საზღვაო სახელმწიფო

სსრ კავშირი მძლავრი საზღვაო სახელმწიფოა. საბჭოთა კავშირის საზღვაო საზღვარი 48.000 კილომეტრზე მეტს შეადგენს. ამ საზღვარს მუდმივ კონტროლს უწევს და იცავს ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტი. წყალზე, წყალქვეშ და ჰაერში იცავენ საბჭოთა ქვეყნის საზღვაო საზღვრებს ჩვენი გმირი მეზღვაურები ყოველგვარ ამინდში: ქარიშხალი იქნება, ტაიფუნი თუ ნისლი.

ბოლშევიკური პარტიის, ამხანაგ სტალინის ნებისყოფით, საბჭოთა ხალხის გმირული მუშაობით, მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტი ამჟამად მრისხანე, უძლეველ ძალად გადაიქცა.

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომისა და 14 კაპიტალისტური სახელმწიფოს ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში ჩვენი სამხედრო ხომალდები, რომლებიც იმ დროს ცუდად იყვნენ დაკომპლექტებული პირადი შემადგენლობით, სუსტად იყვნენ შეიარაღებულნი, რომლებსაც ზოგჯერ მამოძრავებელი მექანიზმებიც კი მოშლილი ჰქონდათ, ურტყამდნენ თავით ფეხამდე შეიარაღებულ ინტერვენტებს, სძირავდნენ თვით ისეთი პირველხარისხოვანი ფლოტების საბრძოლო ხომალდებს, როგორიც ინგლისის ფლოტია. მარტო ფინეთის ყურეში 1918 და 1919 წლების განმავლობაში საბჭოთა ხომალდებისა და ნაღმებისაგან ჩაძირულ იქნა: კრეისერი „კასანდრა“, საესკადრო ნაღმოსნები „ვიქტორია“ და „ვერულამი“, წყალქვეშა ნავი „L-55“, რამდენიმე ტრალერი, ტრანსპორტი, სატორპედო კატარღა. წყალქვეშა ნავი „L-55“, რომელიც განსაკუთრებული დანიშნულების წყალქვეშა სამუშაოთა წითელდროშოვანმა ექსპედიციამ ზღვის ფსკერიდან ამოიღო და ჩვენმა სახელოვანმა გემთმშენებლებმა აღადგინეს, ამჟამად საბჭოთა სამხედრო-საზღვაო დროშით ცურავს.

ყოველგვარ გარემოებაში: ზღვებზე, ტბებზე, მდინარეებზე და ხმელეთის ფრონტზე; ხომალდებზე, ჯავშნოსან მატარებლებზე და საველე ნაწილებში — ყველგან წითელი მეზღვაურები გვიჩვენებდნენ სიმამაცისა და გმირობის სასწაულებს. ამ გმირობაზე ხალხს გამოთქმული აქვს სიმღერები. სახალხო გმირის—მატროს ჟელეზნიაკოვის შესახებ მღერიან მთელ ჩვენს ქვეყანაში; სახელები მარკინის, პოლუხინის, პავლინის, ვინოგრადოვის და ათასობით სხვა მეზღვაურებისა, რომლებმაც გმირობის სასწაულები გვიჩვენეს და მამაცთა სიკვდილით დაიღუპნენ, საუკუნეობით იცოცხლებს.

რუს ხალხს უყვარს ზღვა, უყვარს და იცის მისი გამოყენება. სედოვმა, დავიდოვმა, პოიარკოვმა და მრავალმა სხვა რუსმა მეზღვაურმა უდიდესი განძი შეიტანა მსოფლიო მეცნიერებაში, მოახდინა უძვირფასესი აღმოჩენანი და გამოკვლევები, თავისი სახელი უკვდავი შარავანდედით შემოსა. რუსმა მეზღვაურმა მაკაროვმა შექმნა ხომალდის ჩაუძირაობის თეორია, შექმნა ხომალდის ახალი ტიპი—ყინულმჭრელი, გამოიგონა ჯავშნის გამჭრელი ხუფი ყუმბარებისათვის. რუსმა მეზღვაურმა პოპოვმა მსოფლიოს მისცა უძვირფასესი აღმოჩენა — რადიოკავშირი. ასობით სხვა რუს მეზღვაურებს მცირე წვლილი როდი შეუტანიათ ადამიანის ცოდნის საგანძურში.

სიმამაცე, შეუპოვრობა, ყოველივე მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის უნარი, საუცხოო საზღვაო ცოდნა, მაღალ ჰუმანიზმთან შეერთებული—აი ის თვისებანი, რომლებიც ახასიათებდნენ რუს მეზღვაურებს, რომლებმაც თავის დროზე გამოიკვლიეს თითქმის მთელი დედამიწის ზურგი.

რუსეთის სამხედრო ფლოტს მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ბევრჯერ მიუცია დასამახსოვრებელი გაკვეთილები ყველასთვის, ვინც კი ცდილობდა დაერღვია ჩვენი ქვეყნის საზღვაო საზღვრები.

რუსეთის სამხედრო ფლოტმა, რომელიც პირველად პეტრე I-ის დროს შეიქმნა, გაანადგურა შვეციის ფლოტი, რომელიც მაშინ მეტად ძლიერი იყო და რაოდენობრივად რუსეთისას დიდად სჭარბობდა. 225 წლის წინათ რუსეთის ფლოტმა განგუტთან ბრძოლაში დაამარცხა შვედები და ხელთ იგდო 10 ხომალდი. დიდი სახელი მოიხვეჭეს რუსეთის ხომალდებმა და რუსმა მეზღვაურებმა ძლევამოსილ საზღვაო ბრძოლებში ჩესმასთან (1770 წელი), ნავარინთან (1827 წელი), სინოპთან (1853 წელი), სევასტოპოლის გმირულ დაცვაში (1854-1855 წლები).

თვით 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში, როდესაც რუსეთის ფლოტი, რომელსაც უნიჭო და გამყიდველი ადმირალები ხელმძღვანელობდნენ, დამარცხდა, რუსმა მეზღვაურებმა ნამდვილი გმირობის მრავალი მაგალითი გვიჩვენეს. 1904 წლის 27 თებერვალს რაოდენობით ერთისამად მეტ მოწინააღმდეგესთან უთანასწორო ბრძოლაში ცოცხლად გადარჩენილმა ორმა მატროსმა ნაღმოსან „სტერეგუშჩიზე“ გახსნა კინგსტონები და ჩაიძირა ხომალდთან ერთად, რომ მტერს არ დანებებოდა.

რუსეთის სამხედრო ფლოტს 1914-1917 წლების მსოფლიო იმპერიალისტურ ომშიც არაერთხელ მიუყენებია საგრძნობი ზიანი მაშინ მძლავრი გერმანიის ფლოტისათვის და დანაკარგთა საბოლოო შეფარდება გერმანიისათვის არახელსაყრელი აღმოჩნდა. კრეისერი „ბრემენი“, კრეისერი „პრინც ადალბერტი“, კრეისერი „ფრიდრიხ კარლოსი“, „გეზელე“, „უნდინე“, „ალბატროსი“, 18 ნაღმოსანი და გერმანიის რამდენიმე ათეული სხვა ხომალდი დაიღუპა ნაღმებისაგან და რუსეთის სამხედრო ფლოტის ხომალდების ცეცხლისაგან ან ინტერნირებულ იქნა. მარტო ერთ დღეს, 1916 წლის 10 ნოემბერს, ფინეთის ყურეში თავდასხმის დროს რუსული ნაღმებისაგან დაიღუპა 7 უახლესი გერმანული საესკადრო ნაღმოსანი.

რუსეთის სამხედრო ფლოტის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები ჩვენი მეზღვაურების რევოლუციურ ენტუზიაზმთან ერთად სამოქალაქო ომის წლებში წარმოშობდა უდიდეს გმირობას.

ყველა ზღვებზე, ყველა ფრონტებზე ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილმა მეზღვაურებმა გვიჩვენეს თავიანთი სიმამაცე, სამშობლოსადმი, თავისი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული. „პოტიომკინის“, „ოჩაკოვის“ რევოლუციური სული მძლავრ შემმუსვრელ ძალად გადაიქცა. რევოლუციურ მეზღვაურებს ეყრდნობოდნენ ლენინი და ბოლშევიკების პარტია 1917 წელს. რევოლუციურმა მეზღვაურებმა „ავრორადან“ რომ ესროლეს ზამთრის სასახლეს, ამით მთელს მსოფლიოს ამცნეს კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქის, სოციალისტური რევოლუციის ეპოქის დასაწყისი. ბალტიის ზღვის, შავი ზღვის, კასპიის ზღვის, დნეპრის მრავალი სახელოვანი მეზღვაური დაიღუპა გმირის სიკვდილით, თავისი სიცოცხლე შესწირა მშობლიურ მიწა-წყალს, სამშობლოს, საბჭოთა ხელისუფლებას.

სსრ კავშირის მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტი იქმნებოდა სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის უმძიმეს პირობებში. მას ჰქმნიდნენ ბოლშევიკების პარტია და მისი დიდი ბელადები ლენინი და სტალინი. მაშინ კადრების ნაკლებობა იყო, ძველი მეზღვაურები ცოტანი დარჩნენ, ხომალდები სუსტად იყვნენ შეიარაღებულნი, ნაწილობრივ დანგრეული, უვარგისი იყვნენ. ლენინისა და სტალინის უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით დაიწყო ჩვენი ფლოტის თანდათანობითი აღდგენა. სახელდობრ ლენინი და სტალინი, ჩვენი პარტია ჰქმნიდნენ საბჭოთა ფლოტს, ჰქმნიდნენ მისთვის ზარბაზნებს, მანქანებს, ხომალდებს. ფლოტში გაწვეულმა კომკავშირელებმა მიიტანეს იქ ახალგაზრდული ენტუზიაზმი. ჯერ კიდევ ნახევრადდანგრეულ საბრძოლო ხომალდებზე გაჩაღდა სისხლსრული ცხოვრება. უმოკლეს ვადაში ფლოტი აღდგენილ იქნა. სახაზო გემები, კრეისერები, ნაღმოსნები, წყალქვეშა ნავები, სატორპედო კატარღები კვლავ გავიდნენ ზღვაში და თან წაიღეს მრისხანე იარაღი, გავიდნენ ზღვაში, რათა დაჟინებით ისწავლონ და მუდამ მზად იყვნენ დაუპატიჟებელი სტუმრების საკადრისი შეხვედრისათვის.

გავიდა ორი სტალინური ხუთწლედი. გაიმარჯვა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გენიალურმა სტალინურმა გეგმამ. განუზომლად გაიზარდა მრეწველობა, კერძოდ გემთსაშენი მრეწველობა, რომელიც ახლა ჩვენი სამხედრო საზღვაო ფლოტისათვის იძლევა ახალი ხომალდების ყველა კლასებს.

საბჭოთა ქვეყანას არ შეეძლო ერთსა და იმავე დროს ფართოდ გაეჩაღებინა ჩვენი თავდაცვის ყველა სახის მშენებლობა. პირველად მან აღჭურვა პირველხარისხოვანი ტექნიკით წითელი არმია, რომელმაც გვიჩვენა თავისი შემმუსრავი ძალა 1929 წელს და შორეულ აღმოსავლეთში 1938 წელს ხასანის ტბის რაიონში მომხდარი ბრძოლების დროს. ჩვენ შევქმენით პირველხარისხოვანი ავიაცია, რომელსაც შეუძლია წარმატებით იმოქმედოს მსოფლიოს ყოველ რაიონში.

ბოლოს, ფლოტის ძველი საბრძოლო შემადგენლობის აღდგენის შემდეგ, ჩვენი ქვეყანა შეუდგა ახალი მძლავრი საზღვაო და საოკეანო ფლოტის მშენებლობას, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს ყოველი მტერი.

უკვე ახლა საბჭოთა კავშირის ყველა ფლოტში და ფლოტილიაში ათეულობით შედიან ახალი საბრძოლო ხომალდები. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ისეთი ხომალდები, როგორიცაა „კიროვი“ და მრავალი სხვა, აშენებულია ჩვენს ქარხნებში, ჩვენი ინჟინრებისა და მუშების მიერ. საბჭოთა გემთსაშენ მრეწველობას შეუძლია ააშენოს და იგი აშენებს კიდეც ყველა კლასის ხომალდებს. ჩვენი ფლოტის მშენებლობის გაქანება და ტემპები ამჟამად ისეთია, როგორიც არ სცოდნია და არც შეეძლო სცოდნოდა არცერთ ქვეყანას მსოფლიოში.

მძლავრი ფლოტისათვის საჭიროა შესაფერი კადრებიც, საჭირო არიან ჩვენი ქვეყნის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, რომლებმაც იციან თანამედროვე ხომალდის ყველაზე რთული და ზუსტი ხელსაწყოების მართვა.

თანამედროვე ხომალდი ურთულესი მექანიზმია, ეს არის მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა კონცენტრაცია. თანამედროვე ხომალდზე არის მძლავრი არტილერია, რომლის სროლის სიშორე სჭარბობს ხილვადი ჰორიზონტის სიშორეს, არის თვითმფრინავები, სატორპედო აპარატები, მძლავრი რადიოდანადგარები და მრავალი სხვა რთული ხელსაწყოები. სახაზო ხომალდის ძალა რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისია ვიცოდეთ, რომ ერთი გვერდითი ზათქის (მარტო მთავარი ყალიბით) დროს ხდება ხუთ ტონა ლითონზე მეტის გასროლა; სახაზო ხომალდის მანქანებს უფრო მეტი სიმძლავრე აქვს, ვიდრე რამდენიმე ისეთ ჰიდროსადგურს, როგორიცაა ვოლხოვის.

საჭიროა კარგად დავეუფლოთ ამ მძლავრ ტექნიკას, რათა ყოველ პირობებში (ღამით, ქარიშხალში, ნისლში) შევძლოთ ბრძოლის წარმოება მოწინააღმდეგესთან და მისი დამარცხება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამასწინათ გამოქვეყნებული ბრძანებულება სამხედრო-საზღვაო ფლოტში სამსახურის ვადის გაგრძელების შესახებ ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ ზრდას, ჰქმნის ფლოტისათვის კიდევ უფრო კვალიფიციური კადრების მომზადების შესაძლებლობას. ამ ბრძანებულებას სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებში და ხომალდებზე დიდი აღმავლობით შეხვდნენ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოქვეყნებიდან მოკლე დროის განმავლობაში მრავალმა ხომალდმა და ფლოტის ნაწილმა უკვე დაამთავრა მოხალისეთა შერჩევა გრძელვადიანი სამსახურისათვის. ეს იმის უაღრესად მკაფიო დამადასტურებელია, თუ წითელფლოტელები და უმცროსი მეთაურები როგორ გამოეხმაურნენ პარტიის, მთავრობისა და ამხანაგ სტალინის ზრუნვას ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერების ზრდაზე, მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს საზღვაო და საოკეანო საზღვრების დაცვაზე.

სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ათასობით აღზარდა ჩვენი მშვენიერი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები. მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცის საბჭოთა კავშირის გმირების —ამხ. ბურმისტროვის, ამხ. ეგიპკოს, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატების ამხ. ბერდნიკოვის, სელეზნევის და სხვათა სახელები. ასეულობით ჩვენი მეთაურები, პოლიტმუშაკები და წითელფლოტელები დაჯილდოებული არიან საბჭოთა კავშირის ორდენებით მამაცობისათვის, გმირობისათვის, სამშობლოს სასახელოდ თავდადებისათვის.

24 ივლისს საბჭოთა ქვეყანა აჯამებს თავის მუშაობას თავისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების დარგში, მძლავრი საზღვაო და საოკეანო ფლოტის შექმნის დარგში. ეს შედეგები ფრიად მნიშვნელოვანია.

მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტი უკვე ამჟამად იმდენად განმტკიცდა, რომ თამამად შეუძლია გადასჭრას ამოცანები, რომლებსაც მას პარტია და მთავრობა აკისრებენ.

ბოლშევიკების პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ნებასურვილით, ამხანაგ სტალინის უშუალო და ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით, რომლის ყურადღების გარეშეც ამჟამად არ რჩება არცერთი საკითხი, რაც კი ფლოტის მშენებლობას შეეხება, ჩვენი მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტი გახდება ყველაზე მძლავრი ფლოტი მსოფლიოში. იგი გაანადგურებს ყველა მტერს, ყველა წყლებში, — და პირველ რიგში იმ აგრესორი ქვეყნების წყლებში, რომლებიც კი გაბედავენ თავს დაესხან ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

ინგლის-იაპონიის მოლაპარაკება

ტოკიო, 23 ივლისი (საქდესი). გაზეთი „ასახის“ სწერს, რომ იმ მოლაპარაკების დროს, რომელიც 21 ივლისს სწარმოებდა კრეიგისა და არიტას შორის, ინგლისმა მიიღო იაპონიის შემდეგი სამი მოთხოვნა:

1) ინგლისმა სცნო ჩინეთში ამჟამად არსებული მდგომარეობა;

2) დათანხმდა ხელი არ შეუშალოს იაპონიას დაამყაროს ჩინეთში „მშვიდობიანობა და წესრიგი“ და მომავალში აღარ გაუწიოს დახმარება ჩინეთს და 3) იკისრა ვალდებულება სათანადო მითითებანი მისცეს ჩინეთში მყოფ ინგლისელ ხელისუფალთ მათი პოლიტიკის შეცვლის შესახებ.

შემდეგ გაზეთი „ასახი“ აღნიშნავს, რომ უახლოეს დღეებში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი არიტა და ინგლისის ტოკიოელი ელჩი კრეიგი ხელს მოაწერენ ფორმალურ შეთანხმებას, რის შემდეგ ორივე მთავრობა სათანადო დეკლარაციას გამოაქვეყნებს.

გაზეთი სწერს აგრეთვე, რომ 24 ივლისს დაიწყება „მრგვალი მაგიდის“ ინგლის-იაპონიის კონფერენცია. ეს კონფერენცია მიეძღვნება პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას ინგლისის ტიანძინის კონცესიების შესახებ. იაპონიის მხრივ კონფერენციას დაესწრება იაპონიის ელჩი ჩინეთში კატო და იაპონიის ტიანძინელი კონსული ტანაკა. ინგლისის მხრივ დაესწრება კრეიგი და ინგლისის ტიანძინელი კონსული ჰერბერტი.

ლონდონი, 23 ივლისი (საქდესი). გაზეთი „იორკშირ პოსტი“ ადასტურებს, რომ ინგლისის პოზიცია შორეულ აღმოსავლეთში, როგორც სჩანს, ცვლილებას განიცდის“. თავდაპირველად გადმოგვცემდნენ, — სწერს გაზეთი,—რომ ინგლისის მთავრობა მოითხოვს ტოკიოსთან მოლაპარაკების შეზღუდვას რამდენიმე საკითხით, რომლებიც ტიანძინის კონფლიქტიდან გამომდინარეობს. ახლა კი გამოირკვა, რომ ინგლისი წინასწარ დაეთანხმება იაპონიას იმ ფორმულაზე, რომელიც განსაზღვრავს საერთო ურთიერთობას ინგლისისა და იაპონიის არმიას შორის ჩრდილოეთ ჩინეთში.

რეაქციონერების ბრძოლა რუზველტის წინააღმდეგ ამერიკის კონგრესში

ვაშინგტონი, 22 ივლისი (საქდესი). ამერიკის კონგრესში რეაქციული ბლოკი კვლავ აძლიერებს ბრძოლას რუზველტის იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომლებსაც იგი ატარებს როგორც საგარეო პოლიტიკის, ისე საშინაო პოლიტიკის დარგში. 20 ივლისს რესპუბლიკელთა და რეაქციონერ დემოკრატთა ბლოკმა წარმომადგენელთა პალატაში შესძლო 253 ხმის უმრავლესობით 135-ის წინააღმდეგ გაეტარებინა წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას სპეციალური კომისია „შრომის კონფლიქტების მომწესრიგებელი კომიტეტის“, საქმიანობის გამოსაკვლევად. რეაქციონერები ცდილობენ გამოიყენონ ეს ღონისძიება იმისათვის, რომ გადასინჯონ შრომის არსებული კანონმდებლობა და წაართვან მუშებს ის მონაპოვრები, რომლებსაც მათ უკანასკნელ წლებში მიაღწიეს.

ამავე დროს წარმომადგენელთა პალატის რეაქციულმა წევრებმა 242 ხმის უმრავლესობით 133-ის წინააღმდეგ გაატარეს მეორე კანონი, რომელიც ზღუდავს სახელმწიფო მოსამსახურეთა უფლებას — აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ კამპანიებში. ეს ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ შეასუსტონ რუზველტის მომხრეთა ძალები პრეზიდენტის მომავალ საარჩევნო კამპანიაში.

ჩეხიის მთავრობის პარტია დასთანხმდა ჩეხიისა და მორავიის გერმანიზაციაზე

პრაღა, 22 ივლისი (საქდესი). ჩეხიის პრესა იუწყება მთავრობის პარტიის „ნაციონალური ერთიანობის“ საბჭოს სხდომის შესახებ. როგორც გაზეთი „ვენკოვი“ სწერს, საბჭომ გადასწყვიტა მიიღოს გერმანიის მოთხოვნა, რომ გერმანული ენა ოფიციალურ ენად იქნას შემოღებული ჩეხიასა და მორავიაში. „ცნობილია, — აღნიშნავს გაზეთი, — რომ ამ საკითხის გადაჭრა გერმანიას თანამშრომლობის ერთერთ პირობად მიაჩნია. ჩეხის მხრივ ამ საკითხის მოწესრიგება ახლა იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ ჩეხის ნაციონალურ მოძრაობას უნდა არაპასიური. არამედ აქტიური თანამშრომლობა“. ამგვარად, მთავრობის პარტია „ნაციონალური ერთიანობა“, რომელსაც დღემდე ბრალს სდებდენ გერმანიის ზეგავლენისათვის წინააღმდეგობის გაწევაში, აქტიური თანამშრომლობის გზას ადგება ჩეხიისა და მორავიის გერმანიზაციის საქმეში.

აჯანყება მარიონეტული „მთავრობის“ ჯარში

შანხაი, 22 ივლისი (საქდესი). 20 ივლისს მარიონეტული „მთავრობის“ 300 ჯარისკაცმა, რომლებიც ჩინელ პარტიზანებთან საბრძოლველად იყვნენ გაგზავნილი ნანჩუეის რაიონში (შანხაის სამხრეთ-აღმოსავლეთით), თავიანთი იარაღი მათთან მყოფ იაპონელთა წინააღმდეგ შეაბრუნეს; გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომელშიც თითქმის მთლიანად გასწყდა 200 კაცისაგან შემდგარი იაპონელთა რაზმი. ამის შემდეგ ჩინელი ჯარისკაცები ჩინელ პარტიზანთა მხარეზე გადავიდნენ თავიანთი იარაღით.

21 ივლისს ძიანსუს პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ჩინელ პარტიზანებს შეუერთდა მარიონეტული „მთავრობის“ 200 ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმი.

გაზეთ „სინვენბაოს“ სიტყვით, მარიონეტული „მთავრობის“ ჯარის დივიზია, რომელიც სიუიანის პროვინციაში მოქმედებდა, 2 ივლისს ჩინეთის ჯარს შეუერთდა. 6 ივლისს იმავე პროვინციაში ბაოტოუს მახლობლად ჩინეთის ჯარის მხარეზე გადავიდა მე-18 პოლკი, რომელიც იაპონელების მიერ მობილიზებული ჩინელებისაგან შესდგებოდა.

ტაბუი ესპანეთში ჩიანოს გამგზავრების შედეგების შესახებ

პარიზი, 21 ივლისი (საქდესი). ტაბუი „ევრში“ ჩერდება იმაზე, თუ რა შედეგები მოჰყვა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიანოს ამასწინანდელ გამგზავრებას ესპანეთში. ჩიანო, — სწერს ტაბუი,—აწარმოებდა ისეთ პოლიტიკას, რომლის მიზანია გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური გავლენის განდევნა ესპანეთიდან. როგორც ტაბუი სწერს, ჩიანომ, უწინარეს ყოვლისა, მიაღწია ფრანკოსაგან დაპირების მიღებას, რომ იგი არ იკისრებს „გერმანიის მიმართ არავითარ განსაკუთრებულ ვალდებულებებს, რომლებიც ზიანს მიაყენებდნენ იტალიის ინტერესებს, განსაკუთრებით ეკონომიურ დარგში“.

მეორე მხრივ, — სწერს ტაბუი,— ჩიანომ ვითომდა მიაღწია იმას, რომ ფრანკოს არმიას მწვრთნელებად ეყოლებიან იტალიელი ოფიცრები, ხოლო ავიაციას იტალიის თვითმფრინავები და პილოტები გაუწევენ მომსახურებას. შემდეგ ტაბუი აღნიშნავს, რომ ფრანკოსთან მოლაპარაკების დროს ჩიანო ითვალისწინებდა აგრეთვე იტალიის პოლიტიკური პოლიციის მონაწილეობას ესპანეთის პოლიციის რეორგანიზაციის საქმეში და იმის ფორმალურ დამამტკიცებელ საბუთად, რომ ესპანეთი კეთილსასურველად არის განწყობილი იტალიის მიმართ, მოითხოვდა ფრანკოსაგან, რათა მან თანდათანობით გაატაროს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ფაშისტური ესპანეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას იტალიის სახელმწიფოებრივ წყობილებას დაუახლოვებენ.

ახალი მთავრობის შედგენა ჰოლანდიაში

პარიზი, 23 ივლისი (საქდესი). ჰააგიდან იუწყებიან, რომ კოლიინუმ შესძლო ახალი მთავრობის შედგენა. მინისტრების ვინაობა ჯერ გამოქვეყნებული არ არის. ფიქრობენ, რომ ახლანდელი სამხედრო მინისტრი ვან დიიკი, და აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრი პატიკი ახალი კაბინეტის შემადგენლობაში შევლენ.

„გერმანია-იტალიის პროპაგანდის ცენტრალური ბიურო“

პარიზი, 22 ივლისი (საქდესი). გაზეთი „ევრი“ სწერს, რომ იმ თათბირის შედეგად, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს გერმანიაში სწარმოებდა გერმანიის ხელისუფალთა და იტალიის პროპაგანდის მინისტრ ალფიერის შორის, გადაწყდა შექმნან „გერმანია - იტალიის პროპაგანდის ცენტრალური ბიურო“. ამ ბიუროს ადგილსამყოფელი ვენაში იქნება. იგი იქნება გერმანიისა და იტალიის პროპაგანდის მინისტრების ორგანო და „ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე შეუდგება მუშაობას“.

ახალი სამხედრო ნავსადგურის მშენებლობა თურქეთში

გაზეთ „დეილი ჰერალდში“ მოთავსებულია სტამბოლიდან მიღებული კორესპონდენცია იმის შესახებ, რომ თურქეთის სანაპიროს ნაკლებად ცნობილ ნავსადგურს —ჩესმას (ხიოსის კუნძულის პირდაპირ) თურქეთის ხელისუფალნი ამჟამად ისეთ ნავსადგურად აქცევენ, რომელიც ომის დროს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზა იქნება.

თურქეთის ოფიციალური წრეების მტკიცებით, ჩესმაში ნავსადგურის შექმნის მიზეზია იტალიის საომარი მზადება დოდეკანეზის კუნძულებზე.

კორესპონდენტი ფიქრობს, რომ თურქეთის ტერიტორიაზე, დოდეკანეზის კუნძულების პირდაპირ, ძლიერი სიმაგრეების შექმნა გააძნელებს იტალიის შეჭრას აზიის თურქეთში.

ახალ სიმაგრეებს უკავიათ ტერიტორიის ზოლი ჩესმიდან იმ პუნქტებამდე, რომლებიც 200 მილის (მილი უდრის 1,6 კილომეტრს) მანძილზე მდებარეობენ ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ამ რაიონში სანაპირო დაცვა გაძლიერებულია სულ უახლესი საზენიტო არტილერიით.

22 ივლისი (საქდესი).

მოკლე ცნობები

(საქდესის მასალების მიხედვით)

⊙ ნანსიში (საფრანგეთი) დახვრიტეს ვინმე ფრანკი, რომელიც ჯაშუშობას ეწეოდა, უცხოეთის ერთი სახელმწიფოს სასარგებლოდ.

⊙ სტრანსბურგის მახლობლად საფრანგეთის სამხედრო აეროდრომზე დაეშვა გერმანიის თვითმფრინავი. მფრინავმა დაშვება ქარიშხალით ახსნა.

⊙ ქალაქ ვერა-კრუსში (მექსიკა) გაიფიცნენ ელექტრო სადგურების მუშები. ქალაქი უსინათლოდ დარჩა, ტრამვაის მოძრაობა შეწყვეტილია. გაფიცულები მუშაობის პირობების გაუმჯობესებას და ახალი ხელშეკრულების დადებას მოითხოვენ.



წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის სახაზო გემი „მარატი“ კრონშტადტის რეიდზე

საქდესის ფოტოქრონიკა

კრონშტადტი

ფინეთის ყურეში განადგურებული შვედების ძლიერი ფლოტი უკან იხევდა. პეტრე პირველმა კუნძულ კოტლინზე მეზღვაურთა პირველი დესანტი გადასხა და სთქვა: «Оборону флота и сего места иметь до последней силы и живота, яко наиглавнейшее дело!».

სიტყვას საქმე მოჰყვა და ფინეთის ყურეში გაჩნდა რუსეთის გიბრალტარი, რომელსაც პეტერბურგისაკენ მომავალი საზღვაო გზების დაცვა ებარა.

უბადრუკად გამოიყურებოდა კრონშტადტი წინათ. რუსეთის სამხედრო ფლოტი მთელ ზამთარს ყინულის ტყვეობაში უმოქმედოდ სთვლემდა, ხოლო „მათი აღმატებულება“ — გერმანული წარმოშობის ოფიცრობა პეტერბურგს მიაშურებდა და გემის ეკიპაჟის საბრძოლო მომზადების მაგიერ არისტოკრატიული სალონების კრიალა პარკეტზე ცეკვას ამჯობინებდა.

ნაპირზე გადმოყვანილ მეზღვაურებს წინ და უკან უაზროდ არბენინებდნენ, ხოლო როცა ყინული პირს იხსნიდა, გემების შეკეთება-მომზადებას მაშინ უდგებოდნენ.

ვინ ზრუნავდა კრონშტადტელთა ადამიანურ ბედზე? ერთი თეატრი იყო და ისიც მარტო წარჩინებულთათვის. დაბალი „ჩინის“ პირთათვის მეფის სარდლობა „პივნუშკებსა“ და „კაბაჩოკებს“ უხვად ამრავლებდა და ეგზოტიკური ყაიდის „რეინის მარნებში“ მეზღვაურთა გონებას აბრუებდა.

ალკოჰოლით ცდილობდა თვითმპყრობელობა მეზღვაურთა რევოლუციური სულის ჩახშობას, მაგრამ ამაოდ... 1905 წელს 48 ათასი მეზღვაური აიშალა და გერმანელების აგენტს, „დერჟიმორდა“ ადმირალ ფონ-ესენს სარდლობა დაატოვებინა.

რომანოვების სასახლემ ძლივსძლივობით შესძლო ფლოტში „წესრიგის აღდგენა“; 19 მეზღვაური ჩამოახრჩო, 960 გაასიმბირა, დანარჩენთაც მსგავს „საჩუქარს“ შეჰპირდა.

O

თებერვალი დადგა... რევოლუციის ზრდით შეძრწუნებულმა საადმირალომ კრონშტადტში ხმელეთზე გადასასვლელი გზები ჩაჰკეტა, მაგრამ მეზღვაურთა აბობოქრებულმა ტალღამ ზღუდე გაარღვია და რეაქციონერი ადმირალი ფონ-ვინესიც ზღვაში გადაუძახა.

ივლისის დემონსტრაციის დახვრეტამ, „პრავდის“ დარბევამ და ლენინის დევნამ რევოლუციური კრონშტადტი კერენსკის მთავრობის წინააღმდეგ აამხედრა... რევოლუციას საფრთხე ელოდა, კრონშტადტიც აიმრიზა და ისტორიული რეისისათვის მოემზადა.

გაწიწმატებულმა კერენსკიმ ვითომდა „რეზოლუციებითა და აგიტატორებით შებღალულ“ მეზღვაურებს მოჰქარა შეუთვალა და ფიცის დადება მოსთხოვა. კრონშტადტელებმა ორგულის პირმოთნეობა ვერ მოითმინეს და უპასუხეს: ფიცი დროებითმა მთავრობამ დასდოს, რომ ის ხალხისთვის ავს არ აპირებსო.

შემდეგ კოტლინის კუნძულზე სოციალისტი-მაჰანკლები ჩხეიძე და წერეთელი გადმოსხდნენ და მორიგება სცადეს. კრონშტადტელებმა მათ გულიანად უსტვინეს და კუდამოძუებულნი უკანვე იფრინეს.

O

კორნილოვი, რომ დაიტირა ბურჟუაზია მალულად კაიზერის ჯარებს ეპატიჟებოდა, რომ სისხლში ჩაეხრჩო სატახტო ქალაქის რევოლუციური პროლეტარიატი, ბოლშევიკური პარტია. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკომ პირფერობაც კი გვერდზე გადასდო და ქილყვავილით დაიყრანტალა: „პეტროგრადი საფრთხეშია... ეშმაკმაც წაუღია, პეტროგრადის იოებით ფლოტი დაიღუპება, მაგრამ სადარდელი არაფერია, იქ არასაიმედო გემებიაო“.

„საზრიანი“ გერმანელები უმალვე მიუხვდნენ რუსეთის ხალხის მოღალატის — დროებითი მთავრობის ოინებს და ძლიერი საზღვაო ფლოტით პიტერის ასაღებად დაიძრნენ.

11 სახაზო გემი ებრძოდა ორ ბოლშევიკურს—„სლავასა“ და „გრაჟდანინს“... 9 კრეისერი უტევდა სამ ჩვენსას, 112 ნაღმოსანი ებმოდა რუსეთის ოცდაექვსს, 206 ნაღმმკრეფი, 96 თვითმფრინავი და 6 ცეპელინი რისხვას უმზადებდა „მიტინგებით გატაცებულ“ კრონშტადტის მცირერიცხოვან ფლოტს. შვიდი დღე გრძელდებოდა უთანასწორო ბრძოლა ფინეთის ყურეში, მერვე დღეს კი გერმანელებმა უკან დაიხიეს და, უკან რომ მოიხედეს, თვრამეტი ნაღმოსანი დააკლდათ სათვალავში, ექვსი ნაღმმკრეფი დაიტირეს და ფერდებშენგრეული სამი სახაზო გემი შესაკეთებლად სასწრაფოდ მყუდრო დოკებში ჩააყენეს.

გარეშე მტერმოგერიებული ბოლშევიკური კრონშტადტი შინაურ მტრებსაც მისწვდა, ლენინისა და სტალინის მოწოდებისთანავე პიტერში შემოიჭრა და ზამთრის სასახლეში მოკალათებულ კერენსკის დროებითს მთავრობას ყუმბარები სიტყვასავით უაყარა... კრეისერ „ავრორას“ ქუხილი ხალხთა ვაებით შემდორებულ ეთერში გაიჭრა და სისხლისაგან დაცლილ მსოფლიოს სოციალისტური რევოლუციის შობა აგრძნობინა.

O

ენტუზიაზმით მიდიოდნენ გარდიგარდმო ფალასკებ მკერდზეაკრული მეზღვაურები სამოქალაქო ომის ფრონტებზე. მტრის ტყვიით განგმირული ბევრი კრონშტადტელი დაეცა ბრძოლის ველზე, მაგრამ ისინი რევოლუციის გამარჯვების რწმენით კვდებოდნენ. ლენინ-სტალინის პარტიამ მათ იდეალებს ხორცი შეასხა და მადლიერმა საბჭოთა ხალხმა გმირთა ღირსი სიმღერები შექმნა.

ცეცხლის ალში გამოწრთობილმა წლებმა ჩაიქროლეს, როცა შეუდარებელი კრონშტადტელი მეზღვაურები შიშველი ხელებით მტერს ებრძოდნენ. რაღა დარჩა ძველ საზღვაო სიმაგრე კრონშტადტიდან, საამაყო რევოლუციური ტრადიციების გარდა?

სტალინურმა ხუთწლედებმა ფოლადის ჯავშანში ჩასვეს სოციალიზმის ქვეყნის საზღვაო გუშაგი. აუღებელია კრონშტადტის ფორტები, უძლეველია მისი ხალხი, მრისხანეა კრონშტადტის ძალა — სანაპირო და საზენიტო არტილერია, სახაზო გემები და წყალქვეშა ნავები, კრეისერები და კატარღები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან დასავლეთიდან გამოჩენილ მტრის შესახვედრად.

შრომის დიადი შემოქმედებით ცხოვრობენ საბჭოთა ხალხები, ხოლო მათი შვილები შეუდრეკლად დგანან კრონშტადტის საზღვარზე, თვალისჩინივით იცავენ სამშობლო მიწა-წყალს, მშობლიურ მხარეს, ესოდენ რომ უყვარს რუსსა და ბაშკირს, უკრაინელსა და ქართველს...

მუდამ ფხიზლობენ ბალტიელები, რადგან იციან, რომ მტერი ცბიერობს.

ოთარ ეგაძე

ლენინგრადი — კრონშტადტი



წითელფლოტელის ქანდაკება ტ. სიხარულიძისა

მასობრივი ზეიმი ლისის ტბაზე

24 ივლისს ლისის ტბაზე სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად გაიმართება დიდი მასობრივი ზეიმი. ზეიმზე დასასწრებლად მშრომელთა გადაყვანა ქალაქიდან (ბერიას სახელობის მოედნიდან) იწარმოებს ავტობუსებით, რომლებიც სისტემატურად ივლიან დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

ზეიმი დაიწყება დილის 10 საათზე სსრკ სახელმწიფო დროშის აღმართვით. შემდეგ გაიმართება სანაოსნო ერთეულთა პარადი (მოტორიანი და უმოტორო ნავებისა, იალქნიანი ნავებისა და ბაიდარებისა).

პარადის შემდეგ დაიწყება მასობრივი შეჯიბრებები წყლის სპორტში. პირველად გაიმართება ექვს-ექვს-ადგილიანი ნავებით შეჯიბრება ნიჩბის მოსმაში, შემდეგ შეჯიბრება ბაიდარებითა და ნავებით.

ტბის სანაპიროსთან ხალხის დასანახ მანძილზე მოეწყობა წყალში გაჭირვების ინსცენირება და წყალში მყვინთავთა მუშაობის დემონსტრაცია. იქვე წყალზე გაუშვებენ ახალ სანაოსნო საშუალებათა მოდელებს (კატერებისა და წყალქვეშა ნავების მოდელებს).

დასასრულ გაიმართება მასობრივი თამაშობანი—წყლის პოლო, ჰიდრო-თხილამურებით ვარჯიში და სხვა.

მცხეთის წყალჯომარდობის სადგურზე

სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი მცხეთის წყალჯომარდობის სადგურზე დაიწყება დილის 11 საათზე. გარდა მასობრივი შეჯიბრებებისა —ნიჩბის მოსმასა, ცურვასა, ყვინთვასა, წყალში ხტომასა და სხვ.—აქ გაიმართება აგრეთვე შეჯიბრება ყუმბარტყორცნაში.

მცხეთაში მოაწყობენ აგრეთვე სხვადასხვა გასართობებს — საესტრადო ძალთა გამოსვლებს და მასობრივ სეირნობას.

დღესასწაულის აღსანიშნავად თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო აწყობს გასამხედროებულ გადასვლას აირწინაღებით თბილისიდან მცხეთაში.

ბაიდარებით ლაშქრობა

24 ივლისს ეწყობა ორი ლაშქრობა ბაიდარებით მდ. მტკვარზე.

ამ დღეს, დილით ადრე ბორჯომიდან მცხეთისაკენ ბაიდარებით გამოვა 7 კაცი. მათი ლაშქრობა ისეა ნავარაუდევი, რომ მცხეთაში უნდა ჩამოვიდნენ მასობრივი ზეიმის დამთავრებამდე.

მეორე ლაშქრობა ბაიდარებით იმართება თბილისიდან ფოილოს ხიდამდე (საქართველო - აზერბაიჯანის საზღვარი). მოლაშქრენი გავლენ ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკიდან. ამ ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობს 5 კაცი.

სიღნაღის რაიონმა დაამთავრა მოსავლის აღება

სიღნაღის რაიონმა 22 ივლისისათვის დაამთავრა [illegible] მარცვლეულის მოსავლის აღება. მოსავალი აღებულია 21.770 ჰექტარზე.

ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო და ნატურანაზღაურების ჩაბარება.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მთლიანად ჩაბარებას უზრუნველყოფთ 1 აგვისტოსათვის.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი **გ. ჟურაშვილი**

რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ვლ. მაჩიაშვილი**

ზუგდიდმა შეასრულა ჩაის კრეფის 3 თვის გეგმა

ზუგდიდის რაიონმა 20 ივლისს შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის, ივნისისა და ივლისის გეგმა. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 2.969.926 კილოგრამი; გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. ჩაის კრეფა წარმატებით მიმდინარეობს.

ს. ეზრალიძე

გეგმის 134 პროცენტი

ქუთაისი, 23 ივლისი (საქდესი). ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაის კრეფის სამი თვის გეგმა (მაისი, ივნისი, ივლისი) ვადაზე 9 დღით ადრე შეასრულეს 134 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 80.020 კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილია 107.580 კილოგრამი. ჩაის ფოთლის კრეფაში ყველაზე წინ არიან სოფ. რიონის კოლმეურნეობები, რომლებსაც ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა 200 პროცენტით აქვთ შესრულებული. ასეთივე წარმატებები აქვს ქალაქის საბჭოს სახელობის კოლმეურნეობასაც (სოფ. ოფურჩეთი).

ახალი თავდაცვითი ნიშნები

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ახალი თავდაცვითი ნიშნები: პირველ და მეორე საფეხურის „ვოროშილოველი მხედარი“ და „ნორჩი ვოროშილოველი მხედარი“.

მკერდის ახალი თავდაცვითი ნიშნების ტარების უფლება ენიჭებათ თავდაცვა-ავიაქიმის წევრებს, თუ მათ ჩაბარებული აქვთ სპეციალური ნორმები, ზედმიწევნით არიან დაუფლებულნი ცხენოსნობის ხელოვნებას, საუცხოოდ ხმარობენ ცივ იარაღს და სხვ.

ნიშნები გაიცემა ორი წლის ვადით. ამ ვადის გავლის შემდეგ ნიშნოსნები ვალდებული არიან კვლავ ჩააბარონ ნორმები. (საქდესი).

„დავით სასუნელი“ უკრაინულ ენაზე

დამთავრდა სომხური ხალხური ეპოსის „დავით სასუნელის“ სრული ტექსტის უკრაინულ ენაზე თარგმნა. წიგნი შეიცავს 12 ათასზე მეტ სტრიქონს; იგი გადაცემულია დასაბეჭდად და გამოვა სექტემბრის დამდეგს — ეპოსის ათასი წლის იუბილესათვის. (საქდესი).

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილება წინადადებას აძლევს ივლიანე ვასილის-ძე არაბიძეს და ნიკოლოზ ლევანის-ძე ცერცვაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ ამხ. ლარიბოვთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მე-2 სართული, ოთახი 21).

საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი აცხადებს, რომ პარტბილეთი №1511413, გაცემული ამავე საქალაქო კომიტეტის მიერ ნიკოლოზ კუზმას-ძე დანილოვის სახელზე, პარტბილეთი № 1525616, გაცემული მარტვილის რაიკომის მიერ პეტრე პავლეს-ძე თორდინავას სახელზე, და პარტბილეთი № 2851685, გაცემული ფოთის საქალაქო კომიტეტის მიერ ვალენტინ იოსების-ძე მალევსკის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
კლეხანოვის პროსპ. № 123. ტელ. 3-18-50

24 ივლისს
დიდი საღამო — სეირნობა — კონცერტი
მიძღვნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი

საზაფხულო თეატრი
მუდმივი ადგილ. ტალ. 57
ორდენოსანი არტისტის
იგორ ილინსკის გასტროლი
25 ივლისს მუდმ. ადგ. ტალ. № 58
ლენინგრადის რუსული სიმღერების და ცეკვების ანსამბლის კონცერტი.
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.

ღია ესტრადა
ლენინგრადის რუსული სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლის
კონცერტი
25 ივლისს
ხმოვანი კინო სურათი
დასაწყისი საღ. 10 საათზე.

ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი
(ფუნიკულიორის პლატო)

24 ივლისს **სსრკ სამხედრო-საზღვაო** 24 ივლისს
ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საღამო-სეირნობა
ესტრადაზე **დიდი კონცერტი**

ეკ. სოხაძის (რესპ. დამს. არტ. ორდენოსანი), ვახო გოძიაშვილის (რესპ. დამს. არტ.). თ. ჭავჭავაძის (რესპ. დამს. არტ. ორდ.), ა. ყორყოლიანის (რესპ. დამს. არტ. ორდენოსანი), პ. კობახიძის (რესპ დამს. არტ.) და სხვათა მონაწილეობით.

სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი
(რუსთაველის პროსპ., № 21, ტელ. 3-64-11)
განცხადებათა მიღებას აწარმოებს
10 აგვისტომდე

მიღების პირობები გამოქვეყნებულია ა. წ., 8 ივლისს გაზ. „კომუნისტში“ № 154.

3—2 709

დირექცია.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

24 ივლისს
მოსკოვში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გამგზავრების წინ
საქართველოს ხალხური სიმღერის და ცეკვის
ნაქრები საკოლმეურნეო ანსამბლის კონცერტი
რემა შელეგიას ხელმძღვანელობით
საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები და ცეკვები
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის სალაროში. 2—2

---

25 ივლისიდან თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის სეანს. დასაწყ. 6-30, 8-30, 10-30	მხატვრ. ხმოვ. ფილმი **პირველი სიყვარული** საბჭ. ხელოვნება № 5
ოქტომბერი სეანს. დასაწყ. 6-30, 8-30, 10-30	მხატვრ. ხმოვ. ფილმი **მეგობრები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს** საბჭ. საქ. № 28
დამკვრელი (ზამთრის) სეანს. დასაწყ. 6-30, 8-30, 10 30	თავდაცვ. მხატვრული ხმოვანი ფილმი **საზღვაო საგუშაგო** საბჭ. კინოჟურნალი № 54 კაზოვკა (სიმღერა)
დამკვრელი (საზაფხ.) სეანს. დასაწყ. 8-30, 10-30	მხატვრული ფილმი **ოპენჰეიმების ოჯახი** საბჭ. კინოჟურნალი 56
კომკავშირელი (ზამთრის) სეანს. დასაწყ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი მხატვრული ფილმი **პატიოსნება** საბჭოთა კინოჟურნალი № 53
კომკავშირელი (საზაფხ.) სეანს. დასაწყ. 8-30, 10-30	მხატვრული ხმოვ. ფილმი **ოქროს გასაღები** ბაშკირეთის ხალხის ხელოვნება.
სპარტაკი სეანს დასაწყ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი კომედია **ტრაქტორისტები** საბჭ. კინოჟურნალი № 57 პარტიზანული სიმღერა
რ. ლუქსემბურგის სახ. სეანს. დასაწყ. 7, 8-50, 10-30	მხატვრ. ხმოვ. ფილმი **შემთხვევა პატარა სადგურზე** საბჭ. ხელოვნება № 49, ფიზკულტურელთა სიმღერა
26 კომის. სახ. (საზაფხ.) სეანს. დასაწყ. 8-30, 10-30	მხატვრ. ხმოვ. ფილმი **პატარა დედა** საბჭ. კინოჟურნალი № 49
კომინტერნი სეანს. დასაწყ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი **დიდი ქალაქის ჩირაღდნები** საბჭ. კინოჟურნ. № 52 მხიარული ქარი (სიმღერა)
ს. ორჯონიკიძის სახ. კ. და დასვ. ცენტრ. პარკი სეანს. დასაწყ. 8-30, 10-30	თავდაცვ. მხატვრ. ფილმი **საზღვარზე** საბჭ კინოჟურნალი—სპორტული მარში (სიმღერა)

ის პირნი, რომლებიც სეანსზე დაიგვიანებენ, დაშვებული არ იქნებიან კინოში.

სსრ ჯანსახკომის თბილისის საშუალო სამედიცინო დების № 6 სკოლაში მიღების პირობები 1939-40 სასწავლო წელს.

1. თბილისის სამედიცინო დების № 6 სკოლა არის საშუალო სამედიცინო სასწავლებელი, რომელიც ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის მედპერსონალს. სწავლის ხანგრძლივობა ორი წელია.
2. სკოლის კურსდამთავრებულებს სათანადო საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ უფლება აქვთ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებელში საერთო წესით.
3. სკოლაში მიიღებიან სათანადო გამოცდების შემდეგ ქალები 15-დან 35 წლამდე, რომელთაც აქვთ განათლება არანაკლებ 7 კლასისა.
4. სკოლაში შემსვლელმა განცხადება უნდა შეიტანოს დირექტორის სახელზე პირადად ან გამოგზავნოს ფოსტით—შეკვეთილი გზავნილებით.
5. განცხადებასთან დართულ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები: ა) მოწმობა განათლების შესახებ, ბ) დაბადების, გ) ჯანმრთელობის მოწმობა და ორი ფოტოგრაფიული სურათი სახელმწიფო დაწესებულების მიერ დამოწმებული.
6. გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართული ენა, რუსული ენა, მათემატიკა. ფიზიკა გეოგრაფია და პოლიტცოდნა.

შენიშვნა. უგამოცდოდ მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, 9 კლასის და საშუალო სკოლის და მუშფაკის კურსდამთავრებულები.

7. განცხადების მიღება სწარმოებს ა. წ. 18 აგვისტომდე ყოველდღე საღამოს 6 საათიდან.
8. მისაღები გამოცდები დაიწყება 20 აგვისტოდან.
9. მიღებულ ძმენელთ დაენიშნებათ სტიპენდია საერთო წესით

მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 4, მე-14 საშუალო სკოლის შენობაში, სამედიცინო დების № 6 სკოლა.

713 **დირექცია.**

დედა მარიამ, მეუღლე მარგალიტა შვილებით, და ნინო ზაალიშვილი შვილით, ძმები ვასილ, ალექსანდრე იუწყებიან საყვარელ

გიორგი (ჟორა) გიორგის-ძე ბერიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24/VII, 7½ ს. მელიქიშვილის, 22. გამოსვენება 25/VII, 5 ს. ვაკეში. 2576

თბილისის საბჭოს გამწვანების ტრესტის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან თანამშრომელ ძვირფას ამხანაგ

გიორგი გიორგის-ძე ბერიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 25/VII, 5 ს. მელიქიშვილის, 22. 2574

ნადია, პროკოფი მუჯირები შვილებით, ელენე ჯინორიძე, თამარ ბაქრაძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან საყვარელ

ჟორა ბერიძის

გარდაცვალებას. 2571

შვილები შოთა, გრიგოლ, თინა, ჟორა ფხაკაძეები, რძალი ნინო და შვილიშვილები გურანა და მერაბი იუწყებიან

ელისაბედ გიორგის-ასულ ფხაკაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/VII, ქუთაისში. გამოსვენება ვოროშილოვის, 12. 279

დამწუხრებული ქმარი იოსებ, შვილი იზა ოსეფაშვილები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

ლუბა ოსეფაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 ივლისს 5½ ს. გამოსვენება ლენინის, 54. 2579

„გლავვოსტლესის“ თბილისის საწყობის ადმინისტრაცია, ადგილკომი და მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით იუწყებიან ამავე საწყობის შოფერ

შურა (დავით) მაჭავარიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება შრომის, 68. 24/VII, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე. 2572

მეუღლე თებრო, შვილი ბაბულია, და თიკო, სიძე ვ. ბურკაძე, შვილიშვილები სონიკო მირაგოვისა, მაყვალა საყვარელიძისა იუწყებიან

კონსტანტინე დიმიტრის-ძე სულხანიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 25/VII, 5 ს. სამხედრო, 5 კუკიის სასაფლაოზე. 2573

არტელ „კოტელშჩიკის“ თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის კალე ჯანბერიძის ძმის

ივანე საბას-ძე ჯანბერიძის

გარდაცვალებას. 2277

თბილისის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომლები დეკაპრელევიჩი, ხომეზური, აბესაძე, თოფურიძე, სიხარულიძე, გოგიბერიძე, კვინიკაძე, აროშიძე, ზამბახიძე, სააკოვა იუწყებიან დოც. გ. ფხაკაძის დედის

ელისაბედის

გარდაცვალებას. 2578

შვილები ანეტა, სიმონ, შვილიშვილები არჩილ, თინა, გივი, სიძე ევგენ კუტუხიძე იუწყებიან.

მარიამ პეტრეს-ასულ ყაუხჩიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8 ს. პეტრიაშვილის, 6 გამოსვენება 26/VII, 5 ს. ვერის სასაფლაოზე. 2575

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 284